საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა [illegible] პარტია — მთავარ კომიტეტის ორგანო.

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 120,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე უკანასკნელზე კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

ფასი 5000 მან.

№ 232

ხუთშაბათი, ივნისის 29

1922 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა


## ქალ. ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტის გადასახადთა ბიურო

აცხადებს, რომ კვირას 2 ივლის, დილით 12 საათზე, აღმასკომის შენობაში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ქვემოთ ჩამოთვლილ სასტუმროებისა:

1) ისლამი—გოგოლის ქ. № 85
2) რომი—კონ ღანოვის ქ. № 3
3) მასის—სიონის ქ. № 8
4) ხაერთ—ელისაბედის ქ. 25
5) პორინე—თათრის მოედანი № 5
6) პეტროგრადი—პლეხანოვ. ქ. № 6
7) ერმიტაჟი—პუშკინის ქ. № 29
8) რივიერა—დიდი მთავრის ქ. № 1
9) კომერციული ნომრები—ირაკლის ქუჩა № 8

პირობების გაგება შეიძლება გადასახადთა ბიუროს კანცელარიაში, მეორე ოთახში საჯარო მაგიდის გამგე დარახველიძესთან. 4—1



დრმად დამწუხრებულნი, დედა მარიამი, დები: ნინო, ფილომონი, ეფრო და დალე ხოფერიები, მღვ. ნესტორ გუნია და გრიშა ხოფერია აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი

მელქისედეკ (მექი) ალექსანდრეს ძე

## ხოფერია

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი. დასაფლავება მოხდება ხუთშაბათს, ივნისის 29 ს., ქ. ახალ სენაკში.



უნუგეშო მწუხარებაში მყოფნი დედა ხინ, მამა თედო ბეგიაშვილები, ბიძები შალვა ნუცუბიძე და ვასილ ბეგიაშვილი და ბიცოლა აგნესა ნუცუბიძისა აუწყებენ ნათესავთა და მეგობრებს დაუვიწყარი

## ოთარის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება პარასკევს 29 ივნისს დილის 11 საათზე ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში. გამოსვენება ერმოლოვის ქ. № 13.


## ან რევოლუციის, ან რეაქციის სამსახური

ჩვენ თავიდ ნვე საერთაშორისო რევოლუციის ორიენტაცია მივიღეთ და შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადეთ არა მარტო ბურჟუაზიულ წყობილებას, არამედ ამ წყობილების გამმაგრებელ რეფორმისტულ-სოციალისტურ ელემენტებსაც. და ეს ხაზი იყო ნაკარნახევი არა მარტო ჩვენი რევოლუციონური სურვილებისა და სოციალისტური აღ ძგინებისაგან. ჩვენი ეს გეზი ემყარებოდა უმთავრესად საერთაშორისო პოლიტიკის ძალთა ობიექტიურ-მეცნიერულ შეფასებაზე, თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიური ვითარების სწორ გაგებასა და განმარტებაზე.

ჩვენ ვამბობდით, რომ მსოფლიო საერთაშორისო რევოლუციის ფე ხულში ჩაბმული, რომ ამ გზიდან მისი დაბრუნება არ შეუძლია თვით რევოლუციის და კონტრრევოლუციას შორის გაჩირებულ ოპორტიუნისტ-სოციალისტებსაც კი.

ამასთანავე აღვნიშნავდით, რომ დღევანდელი ბრძოლა, ბრძოლა კაპიტალიზმისა და სოციალიზმის შორის იმ კულმინაციურ წერტილზეა მისული, რომ იგი უარყოფს ყოველივე გარდამავალსა და ორმაგი იდეოლოგიის მატარებელს პოლიტიკურს პარტიებს. არის მავნებელი გარკვეული ხაზი, რომლის ერთს მხარეს არის რევოლუციონური მუშათა კლასი და ხაზს გადაღმა ყველა ის ჯგუფები, რომელნიც არ იზიარებენ პროლეტარიატისა და მშრომელი გლეხობის რევოლუციის პლატფორმას.

არ არის მხედველობაში მისაღები ის ფაქტი, რომ ამ ხაზის გადაღ-გადმოღმა მებრძოლთა რაზმები სხვ. და სხვა გვარად და სხვ. და სხვ. ადგილას არიან ჩამწკრივებულნი. არსებითად ყველა ხაზს გადაღმა ისე, როგორც ამ ბარიკადის გადმოღმა თვითეულს სარდლობას ემორჩილება, ყველასათვის საერთო ზრახვებს ემსახურება

დღეს ბურჟუაზიის მხარეზე მრავალი სხვა და სხვა რაზმებია, მრავალი სხვა და სხვა სახელწოდების „სოციალისტებია“, მაგრამ უკანასკნელნიც ოპერატიულად ბურჟუაზიასთან ერთ სამხედრო ფრონტს შეადგენენ, თვითეული მათგანი თავის მოვალეობას ასრულებს რეაქციის გასამარჯვებლად.

მსოფლიო უდიდეს ეკონომიურს და პოლიტიკურს კრიზისს განიცდის; იგი საერთაშორისო რევოლუციის ორბიტრში მოექცა. კაცობრიობა ან გადაშენებისა და გაველურების უფსკრულში უნდა ჩავარდეს, ან ახალმა ცხოველმყოფელმა და შემოქმედმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ უნდა გამოიყვანოს იგი ისტორიული ჩიხიდან. ასე დააყენა საკითხი თვით ისტორიულმა პროცესმა, ამ ორ პოლიუსებს შორის ხდება დღეს ის ჰიდილი, რომლის შედეგები და ფაქტები ავსებენ ჩვენს მიმდინარე ცხოვრებას.

ამ ჰიდილის საუკეთესო სურათს იძლევა დღევანდელი ამბები გერმანიაში.

გერმანიაში მონარქიული მოძრაობა იწყება, უკიდურესი ფრთა რეაქციისა ბურჟუაზიულ-სოციალისტურ მთავრობის წინააღმდეგ ილაშქრებს.

მოკლეს რატენაუ ანტანტისადმი ლოიალური პოლიტიკის საუკეთესო გამომხატველი, მოჰკლეს რატენაუ საბჭოთა რუსეთთან რაპალოს ხელშეკრულების დ.მდები.

მიზეზები გასაგებია: მერყევი და იანუსური პოლიტიკა ნიადაგ გამოცლილია დღეს გერმანიაში, საბოლოოდ მას ეს ნიადაგი გამოეცლება ხვალ ანტანტის სახელმწიფოებშიაც.

რაღა თქმა უნდა, ნორმალურ პოლიტიკურ ეკონომიურ პირობებში გაუბედავსა და ორმაგს პოლიტიკას ყოველთვის დიდი გასავალი ჰქონდა. მაგრამ რევოლუციას სხვა კანონები აქვს: იგი გადაჭრით და გარკვეული პოლიტიკის მატარებელთ ანიჭებს უპირატესობას. და ეს იმიტომ, რომ რევოლუცია განსაზღვრულს, გამოკვეთილს მიზანს ისახავს თავის შედეგად.

ამითაც აიხსნება ის ჯალათური შეტევა მუშათა კლასის წინააღმდეგ, რომელსაც მთელის თავისი სისასტიკით აწარმოებს დღეს საერთაშორისო ბურჟუაზია. ამით აიხსნება ის რეაქციონური ხულის კვეთება, რომელიც სუფევს დღეს ევროპა-ამერიკის კაპიტალის მაგნატებს შორის.

დავუბრუნდეთ ისევ გერმანიის მაგალითს. დამოუკიდებელი სოც.-დემოკრატები და შეიდემანელები „უმაღლესი“ სოციალისტური მოსაზრებებით. საპირისპირო სცნობდენ გერმანიის კომპრომისული, შეთანხმებითი მთავრობის არსებობას, მის განმტკიცებას ხაქმით, მისი მხარის დაჭერას მოქმედებით; ასეთივე „სოციალისტური“ შეგნებით დაუნდობელსა და შეურიგებელს ბრძოლას ქადაგებდენ ისინი კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ გერმანიაში და საბჭოთა ძალა-უფლების დასამხობად მთელს „სოციალისტურს“ ევროპაში.

კენიგსბერგში სისხლის ღვარა მოხდა რეაქციის შავმა ჯალათებმა მუშების. სისხლით მორწყეს ამ ქალაქის ქუჩები, რეიხსტაგის კომუნისტური პარტიის ფრაქციამ შეკითხვა შეიტანა აღნიშნული ამბების საჩქაროდ განხილვის გამო. სოციალ-დემოკრატიის ხმებით ბურჟუაზიულმა რეიხსტაგმა ცინიკურად უარჰყო კომუნისტების წინადადება.

ბავარიის ყოფილმა პრემიერმა ბ მა კარრმა მიუნხენში მონარქიის აღდგენა საჯაროდ მოითხოვა და „რეაქციონური გერმანიის გასაგონრად დაიყვირა: „გაუმარჯოს ბავარიის მეფეს რუპრეხტს“-ო,

იქნებ ვინმეს ჰგონია, რომ ბურჟუაზიულმა მთავრობამ რაიმე გადამწყვეტი ზომები მიიღო კარრის წინააღმდეგ? ან იქნებ წარმოუდგენელად მოეჩვენოს ვინმეს ის გარემოება, რომ ამ მთავრობასთან ქვლავ განაგრძობს ბლოკს შეიდემან-ნოსკეები ეს „დიჯი“, „ჰქვიანი“ და „გუჩქარებელი“ სოციალისტები?

ჩვენთვის ეს ბუნებრივია და ჩვენ გვგონია შეიდემანიც ლოგიკურია ბოლომდის. იგი ბურჟუაზიის სარდლობაში შედის, მის ოპერატიულ მთლიანობას იცავს.

დღევანდელი მონარქისტული მანიფესტაციები გერმანიაში — „ჰოგენცოლერნების მონარქიის აღდგენის“ ლოზუნგის ქვეშ განმტკიცებულია „სოციალისტი“ შეიდემანის და დამოუკიდებელი კაუტსკის პოლიტიკისაგან.

რეაქცია მძვინვარებს მუშათა მოძრაობის სამშობლოში—გერმანიაში და ლამის სისხლში ჩაახშოს გერმანიის მუშათა კლასი და მისი რევოლუციონური პერსპექტივები.

ცხადია გერმანიის მუშათა კლასს ძვირად დაუჯდება ნოსკე-შეიდემანკაუცკისაგან გამოკვებილი კონტრ-რევოლუციის დამარცხება, მაგრამ დარწმუნე ული რევოლუციის მძლეობაში ჩვენ ვფიქრობთ: შეიძლება შავი რეაქციისაგან გამოწვეული ტკივილები აუცილებელი საჭირო იყოს იმისათვის, რომ გერმანიის მუშათა კლასი საბოლოოდ განთავისუფლებულიყო მისთვის ყველაზე უფრო საშიში ოპორტიუნისტულ-სოციალისტურ გავლენისაგან.

გერმანიის მაგალითი უნდა უჩვენებდეს ყოველ მუშას და სოციალისტს, რომ დღეს ბრძოლა ორ ძალთა შორის, ორ ეკონომიურ-პოლიტიკურ ფორმებს შორის სწარმოებს;

ან საერთაშორისო სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება, ან კონტრრევოლუციის ზეიმი, აი როგორ სდგას დღეს საკითხი საერთაშორისო მასშტაბში. საშუალო ფორმულა, საშუალო ჯგუფები მოჩვენებითი და ფარისევლურია და ან აძაგრებს ერთსში ძალას, ან მეორეს.

და ჩვენც განვაგრძნობთ ბრძოლას ამ კონტრრევოლუციის ფრონტის წინააღმდეგ.

ფ-ცხა.

## „პარიტეტული კომიტეტი“

არსებული რეჟიმის წინააღმდეგ შეკრებილი პარტიები გაერთიანდა, ერთ მთელს გარკვეულ სახის მიმართულებაში ჩამოყალიბდა. ეს მიმართულება არის „სამშობლოს განთავისუფლების“ მიზნით მომქმედი პოლიტიკური დასი, „პარიტეტული კომიტეტის“ ხელმძღვანელობით საბრძოლველ ასპარეზზე გამოსული. სრულებით ბუნებრივია და ყველასათვის გასაგები ეს გარემოება: ჩვენთვის ყოველთვის აშკარა იყო მენშევიკების, მემარჯვენე ფედერალისტებისა და შოვინისტ ნაციონალ-დემოკრატებთან ახლო ნათესაური კავშირი. მენშევიკების ბატონობის სამი წლის ისტორია ამის საუცხოვო ილიუსტრაციაა. დამფუძნებელ კრებაში მენშევიკები ნაციონალისტებთან ერთად შეხმატკბილებული გამოდიოდნენ მემარცხენე სოციალისტურ ოპოზიციის წინააღმდეგ არც ეკონომიურსა და არც სახელმწიფოებრივ პოლიტიკაში მენშევიკურ პარტიას არ გადაუდგამს ისეთი ნაბიჯი, რომელიც არსებითად მიმართული იყო ნიკოლაძეწერეთელის ჯგუფის საწინააღმდეგოთ. კიდევ მეტი, მენშევიზმი სახეშეცვლილი ნაციონალ-დემოკრატიზმი იყო არსებითად. პოლიტიკაში მენშევიზმი ეყრდნობოდა სეპარატიზმს, ეკონომიკაში—კაპიტალიზმს, კერძო საკუთრების პრინციპს. არ იყო სადემარკაციო ხაზი, უკიდურეს მემარჯვენეებისაგან გამმიჯნელი. განსხვავება მხოლოდ ძალაუფლების საკითხში მდგომარეობდა: სამინისტრო პორტფელები რამიშვილ-ხომერიკებს ეპირათ და არა კედია-ნიკოლაძეებს. და თუ ეს უკანასკნელნი დრო გამოშვებით ოპოზიციურ პოზას ღებულობდნენ, უმთავრესად იმიტომ, რომ არა სასურველად მიაჩნდათ საკუთარი საქმის სხვის მიერ გაკეთება, თვითონ უნდოდათ დაპატრონებოდენ უშუალოდ საკუთარ „თეორიების“ პრაქტიკულად განხორციელებისათვის წარმოებულ მუშაობას. მემარჯვენე ფედერალისტები ხომ მენშევიკების პოლიტიკის ერთი ყავარჯენი იყო საქართველოში. ისინი მუდამ მზად იყვნენ ხელი აეღოთ თავისი ძირითადი პოლიტიკა-ეკონომიური ხასიათის პრინციპებზე თუ გინდ ერთი კაბინეტის, ან კანცელიარიის ხელში ჩაგდებისათვის. ასეთი იყო „დემოკრატიულ“ საქართველოში ამ პარტიებს შორის ურთიერთ დამოკიდებულება „სამნი იყვნენ, ტოლნი იყვნენ, ერთად მიდიოდნენ“.

დღეს, მუშათა საქართველოში, უფრო გამტკიცდა და გაძლიერდა, მტკიცე კალაპოტში მოექცა მემარჯვენე პარტიების ჰარმონიული მთლიანობა. მათში არ არის უკმაყოფილების ნატამალი, თვალსაზრისთა სხვა და სხვაობა, მოქმედებათა წინააღმდეგობა. სრული იგივეობაა პრაქტიკას, თეორიის, ბრძოლის მეთოდის საკითხებში. გაერთიანდა პარტიები, გაერთიანდა მათი ხელმძღვანელი პარტიული ორგანოები — პარიტეტული კომიტეტის სახით. დიახ ეს არ არის სათაკილო მოვლენა. საკვირველი ის იქნებოდა, რომ მომხდარიყო წინააღმდეგი: მემარჯვენე ჯგუფების გაერთიანების მაგიერ მათი ძალების დაშლასთან გვქონდა საქმე. ასეთი სასწაული არ მომხდარა, არც შეიძლება მომხდარიყო. ხალხი, რომელიც ნადავლის გაყოფაში ერთსულოვნობას იჩენდა, ცხადია, ნადავლისათვის ბრძოლაში ძალების შეთანხმების საჭიროებას უფრო იგრძნობდა და ბუნებრივად, ძალების გაერთიანების ინტენსივობას უმაღლეს წერტილამდე აიყვანდა.

„პარიტეტულ კომიტეტის“ „მოღვაწეობა“ არსებითად ხელს არ უშლის საბჭოთა სისტემის იდეების ფართო მასაში გავრცელებას, პირიქით, „პარიტეტული კომიტეტის“ ყოველი გადადგმული ნაბიჯი აშკარავებს არსებულ რეჟიმის მიზან შეწონილებას მშრომელთა თვალში და პოპულარულს ხდის საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკას-საზოგადოდ. ამის დასასურათებლად ფაქტების საწყობიდან მოვიყვან მხოლოდ რამოდენიმე მაგალითებს.

„კომიტეტის“ მოქმედებას მთავარი სიმძიმე ცნობილ „გამოსვლებში“ გამოიხატება, „გამოსვლები“, რომელიც მოხდა თებერვალსა და მაისში.

რა დაგვანახვა ჩვენ ამ გამოსვლებმა და გაუმართლდათ თუ არა იმედები „პარიტეტის“ მეთაურებს?

პარიტეტულ კომიტეტის მთავარი პოლიტიკური კრედო ეროვნულ სეპარატიზმს ეყრდნობა. მემარჯვენე წრეები და ჯგუფები სეპარაციის იდეით გამოდიან, სეპარაციის დაცვასა და წამოყენებისაკენ მოუწოდებენ ისინი საქართველოს პროლეტარიატს და სოფლის დემოკრატიას. ჩვენ ყოველთვის ვამბობდით და ვამბობთ, რომ საქართველოს სეპარატიული სახე არსებითად მიუღებელია ფართო მასის ინტერესებისათვის. სეპარატიზმი კი არ წარმოადგენს ეროვნული თავისუფლების საძირკველს, არამედ ფედერალიზმი. „გამოსვლებმა“ ერთხელ და საბოლოოდ დაამტკიცა ჩვენი მოსაზრების ჭეშმარიტება. ვინ გამოვიდა მაისის 24—26-ს, ვინ მოითხოვდა სეპარატიულ საქართველოს?—ვაჭრები, სპეკულიანტები, მღვდელ-ბერ-მონაზნები, ბურჟუაზიის „ნორჩი ყვავილები“—მოწაფეები და სტუდენტები მდიდართა წრიდან. ტფილისის პროლეტარიატი არ მოცილებია სამუშაო დაზგას, საქართველოს მშრომელი გლეხ-კაცობა—წითელ გუთანს, საბჭოთა მოსამსახურენი—საკანცელარიო მაგიდებს. მშრომელთა კლასის ისტორიული მტრები ბარიკადებისთვის ემზადებოდნენ. მათ სურდათ ანკესზე ფართო მასის წამოგება, საპროტესტო დემონსტრაციის მოწყობა, ერთი სიტყვით—წარსულის „დიდებულ დღეთა“ მოგონება, საბჭოთა სისტემისადმი დემოკრატიულ რეჟიმის დაპირისპირება. მაგრამ ვერ მიაღწიეს მიზანს, მშრომელმა ხალხმა უარით შეეგება მათს შავს განზრახვებს.

გამოსვლების ტრაგედია დიდი მნიშვნელობის გამარჯვებაა საბჭოთა სისტემის და მისი ხელისუფლების. მუშათა კლასმა საკუთარი თვალებით დაინახა, თუ ვისთან აქვს საქმე, ვინ არის ის ხალხი, რომელიც მუდამ დღე მენშევიკური მთავრობის ლოცვა-კურთხევაშია და ოცნებობს ნეტარხსენებულ „დემოკრატიზმის“ დაბრუნებაზე. მშრომელი გლეხისათვის აშკარა და ნათელი შეიქნა მენშევიკების და მენშევიკური ლიგის ნამდვილი ფიზიონომია, ნამდვილი სახე და სულისკვეთება. მემარჯვენეთა შავი ბანაკი თავისი „ტაქტიკური“ გამოსვლებით საუცხოვო პირობებს ქმნის ფართო მასის გამოფხიზლებისათვის. იგი სხვებს უთხრის სამარეს, ფაქტიურად კი თვითონ ეშვება შიგ.

საბჭოთა არჩევნებში ბოიკოტის გამოცხადება პარიტეტულ კომიტეტის ერთი სასახელო აქტთაგანია. მშრომელი ხალხი ქმნის მშრომელთა ინტერესების დამცველ ორგანოებს, მენშევიკური ლიგა კი მას ბოიკოტს უცხადებს. არც ერთი ვაჭარი, არც ერთი მღვდელი თუ ძველი მოხელე არ სარგებლობს არც აქტიურ და არც პასიურ საარჩევნო უფლებით. საბჭოთა სისტემა ბურჟუაზიას ჰკლავს არა მარტო პოლიტიკურად. რეაქციონერთა კლასი განიცდის დიდს მორალ ხასიათის სიკვდილსაც. თუ მენშევიკებსა და მემარჯვენე ფედერალისტებს შერჩენიათ ოდნავ მაინც სოციალისტური შეგნება, რად აცხადებენ ბოიკოტს წმინდა მუშურ არჩევნებში? განა არ იციან, რომ ამით ხელს უწყობენ მშრომელთა კლასის მოსისხლე მტრებს. შეიძლება მათთვის მისაღები არ იყოს საარჩევნო სისტემა? დიახ, შეიძლება, რადგან ღვთის მონა ამბროსი მოკლებულია თავისი მრევლის ინტერესების დაცვის საშუალებას! შეიძლება, რადგან ჩარჩ-ვაჭრები ხმას ვერ მისცემენ მენშევიკურ შავ ლიგის კანდიდატებს!

კერძოთ, ტფილისის ახალი საბჭოს არჩევნები შეუქმნია მშრომელთა კლასის ნებას და სულისკვეთებას. მუშების 80—90 პროც. ღებულობს არჩევნებში მონაწილეობას. მენშევიკურ ტფილისის ისტორიას არ ახსოვს არჩევნებისადმი მუშათა კლასის ასეთი ინტერესი და დამოკიდებულება. ყველგან: ფაბრიკა-ქარხნებში, სახელმწიფოსა და კერძო დაწესებულებებში მშრომელთა მასსა ხმას აძლევს რევოლუციონურ ბლოკის წარმომადგენლებს—კომუნისტებს და მემარცხენე სოც.-ფედერალისტებს.

ტფილისის პროლეტარიატს თავის ჯგუფებზე გამოაქვს მეტად მკაცრი და სასტიკი განაჩენი!

ამრიგად, „პარიტეტული კომიტეტის“ სასახელო „მოღვაწეობა“ ნათელსა ჰფენს პროტესტანტების შინაბუნებას. მისი ყოველი ნაბიჯი, მიმართული მშრომელი ხალხის და მისი ხელისუფლების წინააღმდეგ, ააშკარავებს იმ ცდას, დებულებას, რომ მემარჯვენენი გაირიყვნენ მუშათა მასებიდან, მშრომელთა კლასის ინტერესებიდან. მენშევიკ-ფედერალისტები გაშიშვლდნენ პოლიტიკურად, გატიტვლდნენ ზნეობრივად ხალხის თვალში. მათ არ შერჩა არც სოციალისტური სახე, არც მშრომელი ხალხის სამკვდრო-სასიცოცხლო ინტერესების შეგნება. მუშათა კლასის საქმეს გვერდი აუხვიეს მათ, მუშები ანათემას აძლევენ მოღალატეებს.

ნეტავ ვიცოდეთ, მომავალშიც მოგვევლინება „პარიტეტული კომიტეტი“ თავის საგმირო საქმეებით!?

გ. მუშიშვილი.

## ნარკვევი

გაზ. „იზვ.“ სათაურით „ოსმალეთის სტუდენტთა შორის“, მოთავსებულია ა. ლუნაჩარსკის წერილი, რომელიც მთლიანად მოგვყავს:

„ამ წლის მარტს და აპრილში, როგორც ოსმალეთის პრესა გვაცნობებს, მთელი შეგნებული ოსმალეთი აღშფოთებული იყო სტამბოლის უნივერსიტეტში მომხდარი ამბებით. უნივერსიტეტში ირიცხება რამდენიმე პროფესორი, რომელნიც ინგლისელებს სავსებით გადაბირებულნი ყავთ: ალი ქემალ-ფაშა, ბაირამიან, რიზა-ტეფიკი და ზოგიერთი სხვა ბატონები, რომელთაც ეზიზღებათ მთელის არსებით ანგორა და დემოკრატიული ოსმალეთი და ამგვარადვე ქადაგებენ თავის კათედრებიდანაც. მაგრამ ოსმალური სტუდენტობა, თუმცა მყოფი ოსმალური პოლიციის თვალყურის დევნების ქვეშ, მაგრამ შემადგენლობით ცოტათ თუ ბევრად დემოკრატიული, გრძნობს ცხოველ თანაგრძნობას ანგორისადმი. ოსმალები მოელიან იქიდან თავის ნაციონალურ აღორძინებას, ამიტომ სტუდენტებმა, დაინახეს რა თავის

პროფესორების ანგრიოფილურ პროპაგანდაში ნაციონალური ინტერესების გაცემა და გამოუცხადეს მათ ბოიკოტი. დაუყოვნებლივ და რადა თქმა უნდა, ინგლისის ზეგავლენით უნივერსიტეტის გამგეობა ჩაერია საქმეში, მოხდა კონფლიქტი და სტუდენტებმა გამოაცხადეს გაფიცვა, რომელიც გაგრძელდა რამდენიმე დღე. აპრილის ოც რიცხვებში ოსმალეთის კომუნისტურმა პარტიამ მიმართა მოწოდება პროტესტით ყველა ქვეყნის მუშებს ოსმალეთის გენუის კონფერენციაზე მიუწვევლობის გამო.

მხარს უჭერდა ამ მოწოდებას ოსმალეთის სტუდენტობის დიდი უმრავლესობა. ხელახლავ იქნა მოთხოვნილი გაძევება ზემოთ აღნიშნულ პროფესორებისა, კვლავ—უარი და კვლავ—ბოიკოტი. მოთმინებიდან გამოსულმა „ინგლისელმა ხაზეინებმა“ მოითხოვეს უნივერსიტეტის დახურვა“.

ასეთია ჩაგრულ ერებისადმი „კულტუროსან“ ინგლისელ იმპერიალისტების დამოკიდებულება, ყასე სცემენ პატივს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის (რასაკვირველია ინგლისებისაგან) მოტრფიალე ერებს. ასეთი ინგლისელების დამოკიდებულება თვით ნაციონალურ კულტურის ჩირაღდანის¹— უნივერსიტეტისადმიც, თუ კი მისი სტუდენტობა ინგლისურ იმპერიალიზმის კაცეჭამია მადას არ აკმაყოფილებს.

ვისაც აქვს თვალნი მზერად და ყურნი სმენად დაინახონ და მოისმინონ ამ სტრიქონების შინაარსი.

# გერმანეთის ამბები.

**რატენაუს მოკვლის გამო. უცხოეთის პრესის აზრი რატენაუს შესახებ.**

**კრაუდენი** 26 ივნისი რადიო ცნობა. რატენაუს ტრაგიკულად გარდაცვალების შესახებ ინგლისში დიდი მწუხარებით შეხვდენ. გაზ. „ობსერვიერის“ სიტყვით, რატენაუ იყო დიდი ნიჭის და შორსმჭვრეტელობის მქონე ადამიანი, რომელიც ხედავდა, რომ ბრძნული გზა გერმანიისათვის არის ხელშეკრულობის შესრულების შესაძლებლობა. როგორც ეკონომისტი და საქმის კაცი მას ასეთებზე მეტად შეეძლო მრავალ ამოცანათა გადაწყვეტა. დასკვნაში „ობსერვიერი“ ამბობს, რომ რატენაუ ბუნებით ისეთი ხასიათის ადამიანი იყო, რომ მას არ შეეძლებოდა ჰყოლოდა პირადი მტრები და ის შეიქმნა მსხვერპლი თავის პოლიტიკური მტრებისა გაზ. „სიუნდეი ტაიმსის“ სიტყვით, არა მარტო გერმანია, არამედ მთელი ევროპა იგრძნობს დანაკლისს რატენაუს მოკვლის გამო. ის კიდევ ომამდე სარგებლობდა საფრანგეთის კეთილ განწყობილებით გერმანიას გაუძნელდება მისი სამაგიერო კაცის მონახვა. იცავდა რა ქვეყნის ინტერესებს, რატენაუ არ იყო იმპერიალისტობის და რევანშის მომხრე და ისწრაფოდა ხალხთა თანამშრომლობისაკენ. (კავროსტა).

**ფორვერტსი ხელახალი არჩევნების მომხრეა**

**ნაუენი** 25 ივნისი გაზ. ფორვერტსში დაბეჭდილი იყო წერილი, სადაც ნათქვამია, რომ გერმანიაში ახალი არჩევნების მოხდენა აუცილებელი ხდება, ვინაიდან რესპუბლიკის დაწესებულებათ მოელის საფრთხე... (გამოტოვებულია) რომელნიც შეიძლება მიყვანილ იქმნან სიმშილის ნიადაგზე აჯანყებამდე.

**ჰინდენბურგი**

**ნაუენი** 26 ივნისი (რადიო) შაბათს, პორტსდამში ჩამოვიდა ფელდმარშალი ჰინდენბურგი, სამხედრო ზეიმში მონაწილეობის მისაღებად.

**რატენაუს დაკრძალვა.**

**ნაუენი.** ივნისის 27-ს რატენაუს დაკრძალვა დანიშნულია ხვალისთვის. რატენაუს სხეულის გასინჯვამ გვანახვა, რომ მან მიიღო ექვსი სასიკვდილო ჭრილობა და იმ წამსვე მოკვდა. დასაფლავება მოხდება საგვარეულო სასაფლაოზე. კაბინეტმა დაადგინა მოაწყოს ნაციონალური ხასიათის დაკრძალვა, საღამოს, სამშაბათს სხეულს გადაიტანენ რეიხსტაგში. დაკრძალვას დაესწრებიან ხელისუფლების ყველა წარმომადგენელნი.

**დაპატიმრებანი.**

**ნაუენი.** ივნისის 27-ს მოახდინეს ექვსი ახალი დაპატიმრება.

**მკაცრი წინააღმდეგობა რეიხსტაგში**

**რომი.** ივნისის 27 ს რეიხსტაგში სხდომის დროს მოხდა ნაციონალისტების და გელფერმონის წინააღმდეგ ძლიერი შეჯახება.

**ვირტის მოწოდება.**

**რომი.** ივნისის 27-ს კანცლერი ვირტი ხალხისადმი მიმართვაში მოუწოდებს რესპუბლიკის დასაცავად კონტრ-რევოლუციის თავდასხმისაგან.

**მონარქისტული მანიფესტაციები.**

**ნაუენი.** ივნისის 27-ს მაინცში ნაციონალისტებმა მოაწყვეს ფართო მონარქისტული კამპანია. მაინცის ახლოს ნაუეში მიტინგზე ბლიუტნერის ძღვლთან მონაწილეობას ღებულობდა 30000 კაცი. საღამოს მიტინგის შემდეგ შესდგა ჩირაღდნებით სვლა ძველი დროშებით და ნაციონალური ჰიმნის სიმღერით,

**მონარქისტები ემუქრებიან ვირტს.**

**ბორდო.** ივნისის 27 ს ვირტმა წარმოსთქვა რეიხსტაგში სიტყვა მემარჯვენე პარტიების წინააღმდეგ და დააკისრა მათ რატენაუს მკვლელობაში მთელი პასუხისმგებლობა. ვირტმა განაცხადა რომ, მან თითონ მიიღო მუქარით გაფრთხილება.

**საპროტესტო მიტინგები.**

**ბორდო.** ივნისის 27-ს კვირას ლიუსტგარტენში შესდგა საპროტესტო მიტინგი რატენაუს მოკვლის წინააღმდეგ.

**პოლონეთი.**

**კაბინეტის შედგენა.**

**ბორდო.** ივნისის 27 ს ვარშავის მუნიციპალიტეტის ვიცე-თავმჯდომარე ბლიკინსკიმ მიიღო წინადადება პილსუდსკისაგან კაბინეტის შედგენის შესახებ.

**იტალია.**

**ფაშისტების თავგასულობა.**

**ნაუენი.** ივნისის 27-ს რომიდან იუწყებიან, რომ ფაშისტები განაგრძობენ პალმარის კაპერეტეს და სხვა რაიონებში სამხრეთ-სლავის მოქალაქეებზე თავდასხმას. დასწვეს კიდეც ეკლესიები ღვთისმსახურების დროს.

**იტალია და ინგლისი.**

**რომი.** ივნისის 27-ს ინგლისის პრესის ცნობებით, შანცერის თათბირობა ინგლისის მთავარ სახელმწიფო მოღვაწეებთან, მიგვიყვანს იტალია ინგლისის შეთანხმებამდე.

**რეაქციის გათავხედება.**

**ჰანოვერი.** ივნისის 17-ს მონარქიზმის ტალღები ყოველდღე იზრდება გერმანიაში. ახლობელ კვირის დასასრულს შესაძლებელი არის განმეორდეს კაპისებური „პუტჩი“, რადგან ძლიერ გამწვავდა დამოკიდებულება ნაციონალისტებსა და სოციალისტებს შორის, ვერსალის ხელშეკრულების წინააღმდეგ ნაციონალისტური დემონსტრაციების მოწყობის საკითხთან დაკავშირებით. ეს დემონსტრაციები გაგრძელდებიან რამოდენიმე დღე და თავის აპოგეიას მიაღწევენ ივნისის 28-ს, როდესაც ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას. წარსულს კვირაში იყო ჯარების დათვალიერებანი, რომლებზედაც ჰინდენბურგმა, ლიუდენდორფმა და ბავარიის დინასტიის პრინცმა ვიტელსბახომა დაათვალიერეს ჯარი. სოციალისტები ამტკიცებენ, რომ პროტესტი ვერსალის ხელშეკრულების წინააღმდეგ არის მხოლოდ საფარი ახალი მონარქიული ცდისათვის ჩამოაგდონ რესპუბლიკანური მთავრობა. პრესა აღშფოთებით აღნიშნავს, ძლიერ მრავალი თანამომხრეები კაპისა თავისუფლად დასეირნობენ მაშინ, როდესაც მუშათა მასები ციხეებში იტანჯებიან. ისინი ვინც ჩამოგლიჯეს რესპუბლიკანური დროშები თავისუფლად დასეირნობენ მონარქიულ დროშის ჩამომგლეჯნი კი ციხეებში ყრიან. სოციალისტები აწყობენ კონტრ-დემონსტრაციებს. თავის მხრით ნაციონალისტები არ სწყვეტენ თავიანთ გაზეთებში მკაცრ აგიტაციას ვერსალის ხელშეკრულების წინააღმდეგ და აქებენ იმ სასამართლოს, რომელმაც გაამართლა სამხრეთში მონარქისტები და რომელთაც სოციალისტები აბრალებდნენ კურტ ესნერის მოკვლას.

**ბართლომეს ღამის წინ.**

**ბერლინი,** 15 ივნისი· „როტე ფანე“ (კომუნისტური გაზ.) და „ფორვერტსი“ (მენშევიკები), გარდა, „ფრეიჰეიტი-იც (დამოუკიდ. ს.-დ.) მიუთითებს უკიდურესს მემარჯვენე პარტიების სახელმწიფო გადატრიალების აშკარა ცდებზე. წერილში სათაურით: „ბართლომეს ღამის წინ“, „ფრეიჰეიტ“ აღნიშნავს, გაერთიანებულ მანიფესტების ძლიერი სამხედრო კავშირის გამოსვლის უშუალო საფრთხეზე. 28 ივნისი, ვერსალის ხელშეკრულების ხელის მოწერის დღე ამ გაზეთებს მიაჩნიათ უკიდურესს მემარჯვენეების გადამწყვეტ გამოსვლის დღედ. სოციალ-დემოკრატების პარტიულმა კომიტეტმა ერთხმად მიიღო, რეზოლიუცია, რომლითაც ყველა პარტიული ორგანიზაციებს მოუწოდებენ ამ დღისათვის სიფხიზლისაკენ.

**რეაქციონერების ტერორი.**

**ბერლინი,** 15 ივნისი, უკვე სამჯერ შეეცადნენ რეაქციონერები ბომბებით აეფეთქებინათ კომუნისტური გაზეთის შენობა გამბურგში. გუშინ კომუნისტური გამომცემლობას მეოთხეჯერ დაესხენ თავს უცნობი პირები, რომელნიც მოქმედებდნენ ხელის გრანატებით. რეაქციონური გაზეთები ცდილობენ დასახონ ეს თავდასხმები როგორც უბრალო მსხვილი ბავშვური გამოსვლები. მაგრამ მუშათა გაზეთებს ისინი მიაჩნიათ დაგლის ხმაზე წამოსული რეაქციის ერთ ბ სერიოზულ მოქმედებათ.

# ესერების პროცესი.

**ალორძინების კავშირი.**

**მოსკოვი.** 28 ივნისი. 27 ივნისის დილის სხდომაზე მთელი ყურადღება მიპყრობილი იყო იქითკენ, რომ გამოერკვიათ თვითეულ ბრალდებულის ალორძინების კავშირში მუშაობისა და მონაწილეობის სახე. მოწმე კონდრატიევის ჩვენების მიხედვით, ალორძინების კავშირში მოღვაწენი შედიოდნენ პერსონალური თვისებების მიხედვით. ყველანი კადეტებიდან დაწვებული ესერებამდის. ალორძინების კავშირი აყენებდა როგორც გარდამავალ დროებით ფორმას ხელისუფლებისას,— დირექტორიას, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ ავქსენტიევი, ასტროვი, გენერალი ბოლდირევი და ჩაიკოვსკი. ალორძინების კავშირი ჰგზავნიდა თავის წარმომადგენლებს ტაქტიკურ ცენტრში, რომელშიდაც შედიოდა აგრეთვე ორი წარმომადგენელი „საზოგადო მოღვაწეთა საბჭოსი“ და ორი წარმომადგენელიც „ნაციონალური ცენტრისა“.

„ალორძინების კავშირს“ და ტაქტიკურ ცენტრს შეუძლებლად მიაჩნდათ რუსეთში სოციალისტური მთავრობის არსებობა. „ტაქტიკური ცენტრი“ დირექტორიის მაგივრად აყენებდა ერთ პიროვნულ დიქტატურას,

კონდრატიევი ირწმუნება, რომ „ალორძინების კავშირი“ წინააღმდეგი იყო მოკავშირეთა ინტერვენციისა, მაგრამ მას მიზან-შეწონილად მიაჩნდა მოკავშირეებთან კავშირის აღდგენა და მათი რუსეთის ტერიტორიაზე დარჩენა. უმთავრეს როლს ამ კავშირში თამაშობდა კადეტი შჩეპკინი. კონდრატიევი სცდილობს დაახასიათოს ალორძინების კავშირი, როგორც მშვიდობიანი აკადემიური, იდეოლოგიური ორგანიზაცია, რომელიც არავითარ პრაქტიკულ მუშაობას არ აწარმოებდა.

კრილენკოს მოთხოვნილების თანახმად, აქვეყნებენ ესერ ერგუნოვის ბროშიურიდან ციტატებს, რომელიც კატეგორიულად ამტკიცებს თავის ბროშიურაში, რომ „ალორძინების კავშირს მჭიდრო კავშირი ქონდა ესერებთან, რადგანაც ამ უკანასკნელთ ისინი სთვლიდენ ყველაზე უფრო აქტიურ ანტიბოლშევიკურ ძალათ, რომელსაც თავისი უპირველესს მიზნათ დასახული ქონდა ბოლშევიკებთან ბრძოლა და ყველა ანტიბოლშევიკურ ალორძინებისა და ოფიცერთა ორგანიზაციების გაერთიანება. ბროშიურაში ნათქვამია, რომ ალორძინების კავშირს მჭიდრო კავშირი ქონდა მოსკოვში მყოფ საფრანგეთის მისიასთან და სცდილობდა რომ მოკავშირეებს რუსეთში გამოეგზავნათ ჯარები და ამასთან წარადგინა კიდეც მისიაში მოსკოვში სამხედრო გამოსვლების გეგმა. კავშირი აწარმოებდა მოკავშირეებთან ნორმალურ დიპლომატიურ ურთიერთობა და უგზავნიდა მას ნოტებს. სხვათა შორის ნულანსმა ოფიციალურ ნოტაში აცნობა „ალორძინების კავშირს“, რომ მოკავშირეები მზად არიან გამოგზავნონ რუსეთში არმია იმ პირობით კი, თუ რუსეთში განხორციელებული იქნებოდა ერთ პიროვნული დიქტატურა.

არგუნოვის ბროშიურიდან მოყვანილი ცნობების შესახებ კონდრატიევი აცხადებს, რომ მისთვის ეს ცნობები უცნობია და ისინი ალბად შეეხებიან იმ პერიოდს როდესაც მოწმე კიდევ არ იყო კავშირის წევრი.

გოცი თავის განმარტებაში ამტკიცებს, რომ ესერების პარტიას ქონდა კავშირი „ალორძინების კავშირთან“ მხოლოდ მისი მოქმედების პირველ პერიოდში, 1918 წლის დასასრულამდე, რომლის შემდეგაც მასთან ყოველგვარი კავშირი იქნა გაწყვეტილი.

ის ნიღაბი, რომლითაც სურდათ დაემალათ „ალორძინების კავშირის“ ნამდვილი ფიზიონომია, „მხოლოდ ჩამოხადა ბრალდებულმა იგნატიევმა, რომელიც კავშირის წევრი იყო და ესწრებოდა ყოველ მის სხდომებს. ერთ-ერთ სხდომაზე, ამბობს იგნატიევი, არგუნოვისა და ესერების თანდასწრებით, ირჩევდა საკითხი რუსეთის ხელისუფლების სტრუქტურისა და მისი შექმნის ადგილის შესახებ. შჩეპკინმა წამოაყენა პროექტი ერთპიროვნული დიქტატურისა გენერალ ალექსეევის სახით, ესერები მოითხოვდენ დირექტორიას, ამ სხდომაზე გადაწყდა, რომ შეუძლებელია ხელისუფლების მოწყობა რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე და ამისთვის ამორჩეულ უნდა იქნეს ისეთი ადგილი, სადაც საჩქაროდ შეიძლებოდა მოკავშირეთა ძალების გადმოყვანა, რადგანაც ფიქრობდენ, რომ მოკავშირეთა ძალების გადმოყვანა უფრო ადვილი იქნებოდა ციმბირიდან, ამიტომ გადაწყვეტილ იქნა ხელისუფლების მოწყობა თვით ციმბირში. შემდეგ სხდომაზე შჩეპკინმა განაცხადა, რომ მემარჯვენე ცენტრი წინააღმდეგია ერთპიროვნული დიქტატურისა და წინადადებას იძლევა სამ წევრიანი დიქტატურის შექმნისას, რომელშიაც მონაწილეობა უნდა მიეღო აუცილებლად სამხედრო პირს მაგალითად გენერალ ალექსეევს.

# ჰააგის თათბირი

**ბელგია და ჰააგა.**

**მოსკოვი.** 28 ივნისი. „გაზ. ავტონბლადეტი“ იუწყება, რომ შვეციის დელეგატმა ჰააგაში მესდურ უნდენმა უარი განაცხადა კონფერენციაში შემდეგი მონაწილეობაზე და დაბრუნდა ბელგიაში, ასაბუთებდა რა ამას, იგი რომ ჰააგის მუშაობა მიმდინარეობს სულ სხვა მიმართულებით, ვიდრე გენუის კონფერენციაზე. ამიტომ უნდენი სთვლის მიზანშეწონილად თავის ჰააგაში არ ყოფნას.

# უცხოეთი

**ერთიანი ფრონტი მემამულეებისა და ფაშისტების.**

**რომი.** 14 ივნისი. იტალიის პარლამენტში დაიწყო გარჩევა ბოლონში მომხდარ ამბების. სოციალისტმა მაცცონმა მოიყვანა მთელი რიგი ფაქტები, რომ ფაშისტთა პროფკავშირებს ხელმძღვანელობს მემამულეები, რომელთა ხარჯით ინახება მებრძოლი რაზმები. „ფაშისტების ბატონობა, არა თუ ამონავებს მუშებს—განაცხადა ორატორმა—არამედ იწვევს სამიწათმოქმედო კულტურის დაცემას და ქვეყნის გაპარტახებას“. არც ფაშისტებსა და არც აგრარიებს არ ძალუძთ უარყონ მაცცონის ცნობები, რომელმაც დიდა გავლენა მოახდინა პარლამენტზედ და ხალხზე.

**ბელგიის პალატაში კამათი რუსეთის საკითხის შესახებ.**

მემარცხენეთა შეტევაზე გარეშე საქმეთა მინისტრმა ჟასპარმა წარმოსთქვა ბრიუსელის პალატაში სიტყვა, რომელშიაც დაიცვა ბელგიის დელეგატების პოზიცია გენუას კონფერენციაზე და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ბელგიის ინტერესი მოითხოვს ანტანტასთან მჭიდრო კავშირში ყოფნას. ასეთსავე ერთობას რაც თავის ფურცლებზე მოყავს ბელგიის სოც.-დემოკრატილი პარტიის დეპუტატის დესტრესის სიტყვა. „რაპალოს ხელშეკრულების დადების მომენტიდან—ამბობს დესტერსი—ჩვენი ბედი მჭიდროდ დაუკავშირდა ინგლისსა და საფრანგეთს. აქ გაისმა ხმა ლოიდ ჯორჯის ქებისა, მაგრამ მე მინდა მოვისმინო საპროტესტო სიტყვა მათ წინააღმდეგ, ვინც ამბობს, რომ „პუანკარე ომიაო“. საფრანგეთი, რომელიც მე მიყვარს, დასტირის 1 ნახევარ მილ. დახოცილთ და მას არ სურს ახალი ომი. მისი იმპერიალისტები არ გამოხატავენ მის არსებით განწყობებას და სიტყვით სარგებლობენ მხოლოდ [illegible] რომ საფრანგეთი თავისუფლი [illegible] და სხვა აზრის გამოსაშკარავებისათვის. აუცილებელია ძლიერი ბლოკი საფრანგეთისა, ინგლისისა და ბელგიის შორის, რადგან ასეთ ბლოკს შეუძლია სერიოზული გარანტიის შექმნა ევროპის მშვიდობიანობისათვის“. შემდეგ სოციალისტმა გიუისმანმა განაცხადა სხვათა შორის: „ბოლშევიკები—ბანდიტებია“-ო ააბსოლიუტიზმი „მეფე ლენინისა“ დიდხანს ვერ გაგრძელდება. გლეხები დაუნდობლად წალეკავენ საბჭოთა ხელისუფლებას. ჩვენი მთავრობა არ სცნობს რუსეთის მთავრობას, რომელსაც იგივე საშუალებები აქვს პრაქტიკაში შემოღებული, როგორიც ბოლშევიკებს. „ორივე მთავრობა ღირს ერთ მანეთად“. „ჩვენო—სწერს ბ. ვანდერველდეს გაზეთი—უერთდებით თითქმის სავსებით გიუისმანის განცხადებას“. საფრანგეთის ოფიციოზი „ტანი“ გამოსთქვამს კმაყოფილებას ბელგიის სოციალისტთა სიტყვების გამო. „არ შეიძლება არ აღვნიშნოთ სწერს გაზეთი—რომ ერთი უმთავრესი ხელმძღვანელი ბელგიის სოციალისტებისა, ალიარებს პუანკარეს პოლიტიკის შორს მჭვრეტელობას გენუას კონფერენციაზე. დამახასიათებელია აგრეთვე ისიც, რომ ბელგიის სოციალისტები და ლიბერალები პროტესტს აცხადებენ საფრანგეთის იმპერიალიზმის შესახებ შეთხზულ „სულელურ ჭორებისა“ და პუანკარეს წინააღმდეგ გალაშქრებაზე“.

**პოლონეთის კაბინეტის კრიზისის შესახებ.**

**მოსკოვი.** 27 ივნისი. პონიკოვსკიმ, რომელმაც თითქმის დაასრულა კაბინეტის შედგენა ვიტოსთან, სკირმუნტის კანდიდატურის შესახებ მოლაპარაკების შემდეგ, უარი სთქვა კაბინეტის შედგენაზე. ვიტოსი წინააღმდეგი იყო სკირმუნტის კანდიდატურის.

—გაზ. „ვარშავსკაია“ იტყობინება, რომ პ რიზში პონიკოვსკის უარმა კაბინეტის შედგენის შესახებ, მოახდინა ცხადი შთაბეჭდილება. საფრანგეთის ერთ-ერთმა თვალსაჩინო პოლიტიკოსმა მოღვაწემ განაცხადა, რომ პოლონეთი უბრუნდება მე XVII საუკუნის ყველაზე უფრო ცუდ ტრადიციებს „ლიბერუმ ვეტო“—1.

გაზ. „რაბოტნიკი“ დასცინის სკირმუნტს, რომელიც დიდ დათმობებზე წავიდა რუსეთის მიმართ. გაზეთი განსაკუთრებით უკმაყოფილოა სკირმუნტის თანხმობით რიგის კონფერენციის მოწვევაზე, რამაც ისეთი შთაბეჭდილება შექმნა, თითქოს პოლონეთი, გენუის წინ შევიდა საბჭოთა რუსეთთან ერთად სახელმწიფოთა ერთ ჯგუფში.

[illegible] უმთავრესმა კომისიამ დაადგინა მიმართოს პილსუდსკის თხოვნით დანიშნოს ახალი პრემიერი. პილსუდსკიმ მიიღო ეს წინადადება და მიანდო კაბინეტის შედგენა ვარშავის ვიცე-პრეზიდენტს სლივინსკის. სლივინსკი არის პილსუდსკის მთავარი კანდიდატი.

— გაზ. პშეგლონდ ვეჩერნი“ აქვეყნებს სეიმის კულუარებში გავრცელებულ ხმებს, თითქოს ერთ-ერთ დიდ სახელმწიფოს (არა საფრანგეთის) რწმუნებულს განეცხადებინოს, რომ ახალ მთავრობაში სკირმუნტის ვგეტ დის ახვედა გამოიწვევს მისი მთავრობის უკმაყოფილებას. გაზეთი გადმოგვცემს, რომ ახლა თვით სკირმუნტი უარს ამბობს პოლიტიკური ბრძოლაზე, რადგანაც მისი აზრით, ამას მოითხოვს პოლიტიკური მდგომარეობა.

**მოსკოვი.** 27 ივნისი. ბელფასტიდან მოსული ცნობების მიხედვით, იქ თავი იჩინა ახალმა არეულობამ, რომელიც გამოიწვეულია ფელდმარშალი ვილსონის მოკვლის გამო. მრავალია მოკლული და დაჭრილი.

**უცხოეთის კაპიტალი და სახალხო მეურნეობა.**

**მოსკოვი.** ივნისის 28. ფინანსთა სახალხო კომისარიატის ეკონომიურ კვლევა ძიებათა ინსტიტუტში პროფესორი კონდრატიევმა წაიკითხა მოხსენება სასოფლო მეურნეობის აღდგენისა და უცხოელ კაპიტალის ჩათრევის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ომისა და რევოლიუციის წლებში რუსეთში სათესი მიწების სივრცე შემოკლდა თითქმის 40 პროც., ინვენტარის 15 დან 40 პროც.-მდე. მომხსენებლის აზრით,

მეურნეობის აღსადგენათ საჭიროა მინიმალურად 2 დან—3 იდე მილიარდი ოქროს მანეთი, ამასთან თუ მხედველობაში მივიღებთ რკინის გზების ელევატორების აღდგენის აუცილებლობას და აგრეთვე იმ წარმოებებისას, რომელთაც კავშირი აქვთ სასოფლო მეურნეობასთან, მაშინ მომხსენებლის აზრით საჭირო იქნება 9—10 მილიარდი მანეთი. მომხსენებლის აზრით უცხო კაპიტალი ყველაზე უფრო ნაკლებათ მოკიდებს ხელს სოფლის მეურნეობას, რადგანაც ამ სფეროში კაპიტალი ძალიან დაგვიანებით ტრიალებს. ძალიან მნიშვნელოვანია კაპიტალის ჩათრევა რკინის გზების აღდგენაში, მანქანების, საქონლის და სხვ. მოწოდებაში. მომხსენებლის აზრით, სრულებით შეუძლებელია უცხოელებისათვის სასოფლო-სამეურნეო კონცესიების გადაცემა.

**ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობის გამო.**

**მოსკოვი.** ივნისის 29. შრომისა და თავდაცვის საბჭოს კომისიის რწმუნებულმა მიმართა მოწოდებით აღმოსავლეთის რესპუბლიკებს, რომელშიც აღნიშნულია მნიშვნელობა და როლი ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობისა, კომისია აღუთქვამს აღმოსავლეთის სავაჭრო ფირმებს ყოველგვარ დახმარებას ამ ბაზრობაში.

თუმცა ეს ასეა, მაგრამ ის ჩამორთმეული მიწა ეკუთვნის იმ თემის მემამულეს, რომელ თემის გლეხსაც პირველად მისცენ მიწა დასამუშავებლად. ასედაც რომ არ იყოს ჩვენ გარგათ ვიცით, რომ თვითეულ გლეხს ცხვირპირ წინ თავის თემში არ აქვს საყანე მიწა არც ერთ თემში. ასე ემართებათ ბევრს და სრულიად უყურადღებოთ არიან დარჩენილი, თუმცა ზოგიერთ ადგილას ძალიან დახმარებას უწევენ გლეხს ნათლიმამობა, და უბრუნებენ ჩამორთმეულ მიწას, მაგრამ ვაი მისი ბრალი ვისაც ასეთები ამ გარემოებას დიდი არევდარევა შემოაქვს შეიტანოს სოფელში. დრო ახალი მიწის შეძენისა და მათ უფრო დამუშავებისა გასულია და აღარ შეიძლება. ან და ვინ ან რომელ წყაროდან უნდა დააკმაყოფილოს ასეთი გლეხი ხელმეორეთ მიწით, როდესაც მთელი რიგი ჩამორთმეულ მიწებისა დანაწილებულია, და ისე გადადის ხელიდან ხელში, რაც დღითი დღე ფართო ხასიათს ღებულობს ერთის მეორეზე წაბაძვით. ასე რომ არ არის გარანტია რა მოხდება შემოდგომაზე და დამწიფებული სიმინდი რომელი გლეხის ნალიაში ამოყოფს თავს.

არ ძალმიძს დაწვრილებით მოვათავსო ყოველივე ასეთი ნაბიჯი და უმოქმედობა სამიწადმოქმედო კომიტეტების მიწის საკითხის ირგვლივ, მხოლოდ მინდა მკითხველს გავაცნო რომ ამ რიგათ არის ზემოაღნიშნული რაიონში მოგვარებული მიწის საკითხი რაც აცდენს გლეხკაცობას მუშაობაზე და გულს უტეხს მომავალზე, რომ ოდესმე დაეპატრონოს რომელიმე მემამულედან ჩამორთმეულ მიწას და დაამუშაოს ის მისდა სასარგებლოთ. თუ ეს ასე გაგრძელდა და სისტემატიური ხასიათი მიიღო გარწმუნებთ შავი აჩრდილი სიმშილისა მუდამ იქნება გლეხკაცის კარებზე აფუზული აფუზული და სიკვდილით დაუწყებს დამუქრებას. საჭიროა მთავრობამ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ასეთ მოვლენებს მიწის საკითხის ირგვლივ, მიწის საკითხის მოწესრიგებას მეტად სერიოზული მიდგომა ესაჭიროება სოფლად. აქ ჩვენ თეორიასთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ პრაქტიკულ ცხოვრების მრავალფეროვან მოვლენებთან. მიწის საკითხი ისე გადაჭრა, რომ დღეს ერთს მისცე, ხვალ მეორეს ერთი და იგივე მიწა შეუძლებელია ასეთი განაწილება მიწების მიუღებელია ვიმეორებ ეს მძიმე საკითხია და ისე მისი მოგვარება მიზანს ვერ მიაღწევს და სასურველ ნიადაგის მაგიერ საფრთხეს მოუმზადებს რევოლიუციას. მეტი სიფხიზლე და თვალყურის დევნება საჭირო რომ ასეთ ასეთ აწეწილ-დაწეწილ მიწის განაწილება საშუალოდ მაინც მოგვარდეს.

ალ. კოპალეიშვილი.

—

**მინაწერი:** რედაქციას საჭიროდ მიაჩნია ამ პატარა წერილს შემდეგი განმარტება გაუკეთოს. მიწის საკითხის მოწესრიგება პრაქტიკულად მეტად ძნელი და სერიოზული საქმე არის. ამ საქმის უმტკივნეულოდ და უშეცდომოთ ჩატარება მით უფრო ჩვენში რადგან წვრილ მიწათმფლობელობას აქვს ადგილი, ერთობ ძნელი არის. საქ. ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოსცა კანონი მიწის შესახებ. ეს კანონი ეყრდნობა და ავითარებს მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატის მიერ გამოცემულ დებულებას (№ 17). მიწის მფლობელობისა და მოხმარის საქმე ამ კანონის მიხედვით უნდა წყდებოდეს ჩვენში. ცხადია დეფექტებს ადგილი ექნება და ადგილობრივ ხელისუფლებაზე და მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატზეა დამოკიდებული თუ რამდენად უმტკივნეულოდ გატარდება ეს კანონი ცხოვრებაში. მცოდნე და დაინტერესებული პირების მოვალეობაა მიუთითონ მთავრობას პრესისა თუ სხვა საშუალებებით შემცდარ ნაბიჯებზედ.

რედ.

# რუსეთ-იტალიის ხელშეკრულება.

(ბაასი ამხ. კრასინთან).

გაზეთ „იზვესტიაში“ მოთავსებულია კრასინის აზრი იმ ცნობის შესახებ, რომლითაც გაზეთები გვაუწყებდნენ, რომ რუსულ-იტალიური ხელშეკრულებას სახალ. კომისართა საბჭომ რატიფიკაცია არ უყოვო.

— უწინარეს ყოვლისა,—სთქვა ამხ. კრასინმა,—უნდა აღვნიშნოთ რამოდენიმედ არა სწორი რედაქცია გაზეთებში მოთავსებულ ცნობისა. აღნიშნული ცნობა შეიძლებოდა გამოთქმულიყო იმ გაგებით, რომ სახ. კომისართა საბჭომ ვერ სცნო შესაძლებლად დაემტკიცებია ხელშეკრულება მთელ რიგ მოსაზრებათგამო და საბოლოოდ საკითხის გადაწყვეტა გადაიტანა „რ. ც. აღ. კ. უახლოეს სესიის სხდომისათვის, თუმცა იმავე დროს მიანდო გარეშე საქმეთა კომისარიატს განაგრძოს მოლაპარაკება იტალიის მთავრობის წარმომადგენლებთან. რუსულ-იტალიური სავაჭრო ხელშეკრულება ხელმოწერილია ამხ. ჩიჩერინისა და ჩემგან; მაგრამ ამასთანავე ჩვენ გავაფრთხილეთ იტალიის მთავრობა, რომ აღნიშნული ხელშეკრულება შეიძლება დადასტურებული არ იქმნეს ჩვენი მაღალი მართველობითი ორგანოს მიერ.

გზა და გზა უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენ ბეჭდვითი ორგანოებში გატარებული ცნობები იმის შესახებ, რომ ვითომ ჩვენ მივეცით იტალიელებს განსაკუთრებული შეღავათები და მონოპოლიები, სიმართლეს არ შეესაბამება. შეღავათიანი პირობანი არ აღემატებოდნენ იმათ, რომელიც ჩვეულებრივ ეძლევა უცხოელებს სავაჭრო ხელშეკრულების დადების დროს; თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ეს პირობები მიღებულია ურთიერთობის საფუძვლებზე.

ვფიქრობთ,—დაამთავრა ამხ. კრასინმა, რომ შემდეგ სესიამდე რ. ც. აღ. კომ. ჩვენ შევსძლებთ უფრო სწორედ ჩამოვაყალიბოთ რუსულ-იტალიურ ხელშეკრულების პირობები, შევიტანთ რა შიგ ზოგიერთს შესწორებებს და მივიღებთ რა უკეთესს გარანტიებს იტალიის მხრიდან თავზე აღებულ ვალდებულებათა შესასრულებლად.

# ახალი ამბები

— მასწავლებელთა და მოწაფეთა ტფილისიდან გასამგზავრებლად სამარშრუტო მატარებელი გავა ბათომისაკენ ივნისის 30, საღამოს 6-ს. წამსვლელი აუცილებლათ უნდა იქონიონ 2 ცალად სია იმ პირათა, ვინც მიემგზავრება, შემოწმებული სასწავლებლის, განათლების კომისარიატის, ან განათლების განყოფილების მიერ. მეტი მატარებელი აღარ დაინიშნება.

# სამხატვრო ქრონიკა.

**ხომალდი.** გამოვიდა და იყიდება სალიტერატურო სახელოვნო ჟურნალ ხომალდის მესამე ნომერი. ჟურნალში მონაწილეობენ: აბაშელი ს. ვარდოშვილი ხარიტონ, იასამანი, ობოლი მუშა, ლეო ქიაჩელი, დემნა შენგელაია და სხვანი.

— **ახალი წიგნი.** გამოვიდა და იყიდება პოეტ იასამანის ლექსთა პირველი ტომი, გამოცემა „ხომალდის.“ წიგნი ღირს 60 ათასი მან.

— **ქალ. აღმასკომში.** ტფ. ქალ. აღმასკომის პრეზიდიუმმა 27 ივნისის სხდომაზე დაადგინა: 1. მიეცეს კომუნალურ მეურნეობის განყოფილებას საჭირო თანხა ღვარისაგან ჩამოტანილ სილა-მიწის გასატანად 200 მილ. რაოდენობით. 2. დროებით შეწყვეტილ იქმნას ქუჩების ფენილების შესწორება ქალაქში და ყველა საშვალებანი მიმართულ იქმნას ქუჩების გასაწმენდათ, 3 გამოყენებულ იქმნას ამ მიზნისთვის ყოველივე საშვალებები ტრამვაისა (პლატფორმები და საჭირო მუშათა ძალები). 4. ეთხოვოს საქ. სახ. კომისართა საბჭოს რათა დათმობილ იქმნენ კომუნალურ მეურნ. განყოფილების განკარგულებაში ერთი კვირის განმავლობაში არა ნაკლებ 10 საბარგო ავტომობილისა.

# პარტიაში

**მბეჭდავ მუშების კრება** ორშაბათს 3 ივლისს, საღამოს სრულ 7 საათზე, პარტიის ცენტრალურ ბიუროს ბინაზე (ლორის-მელიქოვის ქ.) დანიშნულია მემარც. სოც.—ფედერალისტ მბეჭდავ მუშების ფრაქციის კრება. დღიური წესრიგი:—მომავალი სრულიად საქართველო მბეჭდავ მუშათა ყრილობა. ამხანაგების დასწრება სავალდებულო და აუცილებელია.

—

**არჩილ ჯორჯაძის სურათები.** დამზადებულია გულზე სატარებლად ემალის სურათები არჩილ ჯორჯაძისა, რომლის მიღებაც შეიძლება პარტიის მთავარ ბიუროს ბინაზე საქალაქო კომიტეტის მდივანთან და გაზ. „ტრიბუნა“-ს რედაქციაში.

# საქართველოს ერის დაუძინებელი მტერი პავლე დიმიტრის ძე ციციშვილი

მართლიც მოხდა ისიც, რომ ქართლ-კახეთის სოფლებიდამ ტფილისში მრავლათ ჩამოვიდნენ თავად-აზნაურები, მოხდა საკრებულოს დაარსებაც, ამის გახსნას ციციშვილიც დაესწრო, ამან თავად-აზნაურობას მიულოცა საკრებულოს გახსნა და ქართველ თავად-აზნაურთა მარშლად, გარსევან ჭავჭავაძის დანიშვნა მოისურვა.

თავად-აზნაურებმა ამისთვის ციციშვილს დიდი მადლობა გადუხადეს, ამ მადლობით ციციშვილი გახარებული იქმნა. ამის შემდეგ ციციშვილს სიტყვა უთხრა და ქება უძღვნა გარსევან ჭავჭავაძეს. ამ პირმა ციციშვილი ქართველ თავად-აზნაურთა მფარველ ღმერთად გამოაცხადა. ამ გვარად ციციშვილმა მოიხვეჭა დიდი ნდობა და სახელი ქართველ თავად-აზნაურებში.

ამავე დღეს ციციშვილმა იქ მყოფ თავად-აზნაურებს ასეთის სიტყვით მიმართა, (1802 წ. სექტემბრის 15 ს) სადილზედ ყოფნის დროს, საღამოს 6 საათზედ.

პატივცემულნო და კეთილშობილნო თავად აზნაურებო, მინდა მოგახსენოთ გულწრფელი და ისტორიულის სიმართლით, რომ ქართველი თავად-აზნაურობა არის უძველესი წოდება, უძველეს დროის თავად-აზნაურობა, ასეთი ღირსების მქონი თავად-აზნაურობა მთელს ევროპაში არსად არის და ქართველი თავად-აზნაურობა რუსეთის თავად-აზნაურობაზედ ხომ ერთობ მაღლა სდგას, მათთან შედარებაც არ შეიძლება.

ასეთი ღირსება აქვს ქართველ თავად-აზნაურობას, ასეთი წარსული და იეტორია აქვს თქვენს წოდებას და თქვენ კი ამავე დროს, თქვენ წოდებას, თქვენს ღირსებას ძრიელ სუსტად ექცევით, ძრიელ გულგრილათ, ეს კი არ შეჰფერის თქვენს ღირსებას.

თქვენ სულ არ აფასებთ თქვენს ღირსებას, თქვენ ყველას ამხანაგები ხდებით, ყველას მეგობრები და ყველასთანაც კი სხდებით და ერთად პურს სჭამთ. მაგალითებრ თქვენ ისე გაქვსთ საქმე დაყენებული, რომ თქვენ ხშირად თქვენს ყმებთან სჭამთ პურს, მათთან თქვენს თავს არ არ ჩევთ. თქვენ ესეთი საქციელი სულ არ შეგფერით თქვენ, თქვენს ყმებთან მისვლა და ლაპარაკი თქვენი დამცირება არის.

თქვენი ესეთი საქციელი ძლიერ საწყენი არის ჩვენის კეთილ იმპერატორისთვის. თქვენი ამბები დაწვრილებით აცნობა გენერალ კნორინგმა და იმპერატორს დიდათ ეწყინა თქვენი ასეთი ყოფაქცევაზ. თქვენს კეთილშობილებას ასე თავის დამდაბლება არ შეჰფერის, თქვენი ასე თავის დამდაბლება გლეხების წინაშე არის დიდათ საწყენი, დიდათ სამწუხარო.

თქვენმა კეთილმა იმპერატორმა დამავალა მე, რომ მისი შენიშვნა გადმოგცეთ თქვენ. ყველა თქვენი ის საქციელი, რომ თქვენ თავად-აზნაურები თქვენის ყმა გლეხებისაგან არაფრით განირჩევით და თქვენ ძრიელ ხშირად მათს გვერდით სხდებით და პურსაც კი სჭამთ ხოლმე, ეს არის ისეთი საქციელი, რისისა გამო, თქვენ ვეღარც მთავრობა მოგაქცევთ ყურადღებას, რაკი თქვენ არ არჩევთ თქვენს თავს გლეხკაცებისაგანო, ამიტომ ვერც მთავრობა მოგაქცევთ ყურადღებას, ესეთი საქციელი თქვენი არის ყველასთვის საჩვენი და ნამეტურ ჩვენის დიდებულის იმპერატორისთვის.

მე იმედი მაქვს, რომ ამ შენიშვნის შემდეგ, რუსეთის იმპერატორის სასიამოვნოთ, გლეხებთან კავშირს გაწყვეტთ და მით თქვენს ღირსებასაც დაიცავთ კარგათ, თქვენ თქვენს გლეხებთან გაწყვიტოთ ყოველნაირი კავშირი, იმედია, რომ ჩვენის იმპერატორის ხათრით, ყველაფერს შეასრულებთ და დღეის შემდეგ თქვენი ყმა გლეხებისაგან შორს დადგებით, თქვენი წოდების ამაღლებას შეუდგებით და გლეხებსაც აცნობებთ, რომ თქვენ მათზე მაღლა დგახართ ღირსებით გაგახსენებთ შენიშვნათ.

აბა თქვენ რა გესაქმებათ გლეხებთან, რომ მათ გვერდით სხდებით და ერთათ პურს სჭამთ. თავადს თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს და გლეხს კიდევ თავისი და არეულები არ უნდა იყვნენ. ყოველივე ეს თქვენი და მათ გლეხთა ცხოვრების პირობები, თქვენ თუ გსურთ, რომ თქვენი ღირსება ამაღლებული უნდა იქმნეს რუსეთის მთავრობის და იმპერატორის წინაშე.

მაშინ ჯერეთ თქვენ უნდა აამაღლოთ თქვენი წოდება, ეს იქმნება მთავრობისათვისაც დიდათ სასიამოვნო საქმე, რადგანაც მას გვერდში ეყოლება ისეთი წოდების მეგობრები, რომელთაც უკვე კარგათ ეცოდინებათ თავიანთ თავის პატივისცემა, თავიანთ წოდების დაფასება და მისი შეგნებაც.

პავლე ციციშვილს ასეთი სიტყვები თითქმის ყველა თავადის შვილების ოჯახებში წარმოუთქვამს. ასეთ ოსტატურს სიტყვებს ციციშვილი ერთობ ხშირად ჰფენდა ქართველ თავად აზნაურებში, ყველა ამისი კილო ისეთი გახლდათ, რაც ქართველ თავად აზნაურობას თვალებს უბავდა, ვითომც მათი დიდი პატივისმცემელი იყო რუსეთის მთავრობა, რუსეთის იმპერატორი და სხვანიც ბევრნი ასეთნი.

ასეთი სიტყვებით ხიბლავდა ციციშვილი ყველას და თავისის ეშმაკურის ოსტატობით რუსეთის მთავრობასაც უმაღლესათ წმინდა უმანკო კრავებათ ხატავდა. მთარგმნელის ქანანოვის სიტყვით 1804 წ. ასეთი სიტყვა სთქვა თავად-აზნაურთა საკრებულოში.

კეთილშობილნო თავადნო და აზნაურნო, ჩვენი ძვირფასი იმპერატორი თქვენი დიდი მადლობელია, რომ თქვენ შეიგნეთ თქვენი წოდების ისტორიული ღირსება და თქვენს თავს აფასებთ, გლეხებისაგან შორს სდგებით და მით იგინი ტყუობულობენ, რომ თქვენ სხვანი ხართ და გლეხები კიდევ სხვანი არიან. ეს ადრიდგანვე უნდა შეგნებულიყო, მაგრამ არა ეხლა, მაგრამ რასა იქმნა, სულ თქვენი მეფეების ბრალია, რომ იგინი არ არჩევდენ ამას.

ეხლა დადგა ისეთი დრო, რომ თქვენ თვით უნდა დააფასოთ თქვენი თავი, სხვა რამის თქვენ ფიქრი და შიში ნუ გაქვთ. პირველი თქვენ იყავით თქვენი წოდების დამფასებელნი, მეორე თქვენ უნდა გქონდეთ ჩვენი იმპერატორის სიყვარული და მისი იმპერიის გაძლიერების ნატვრა, რომ რუსეთმა თქვენის დახმარებით დაიპყროს შირვანი, ბაქო სპარსეთი, მერვი, ტაშკენტი, ავღანისტანი და სხვა ასეთი ადგილებიც.

დანარჩენის თქვენ შიში და ფიქრი ნურაფრის უნდა გქონდეთ, ნამეტურ თქვენი ყმა გლეხების, როცა ხელმწიფის ერთგულები იქმნებით და მისთვის თავდადებულნი, მაშინ ხელმწიფე იმპერატორიც თქვენი მფარველი იქნება და ქომაგი, მაშინ თქვენ ბუზსაც ვერავინ აგიფრენთ, რუსეთში ერთი იმპერატორი არის და თქვენს ოჯახში კი თქვენ იქნებით, თქვენი მოდავე არავინ იქნება.

თქვენ როგორც გსურთ ისე იცხოვრეთ, თქვენს ყმებს, თქვენს გლეხებს რაც გინდა უყავით, გინდა ძაღლებზედ გასცვალეთ, გინდა შამფურზედ ააგეთ და შეწვით. ვის რა საქმე აქვს, ვის რა დავა აქვსთ თქვენთან, თქვენი საკუთრება თქვენს ხელში უნდა იყოს, მისი მოდავე თქვენ არავინ უნდა გყავდეთ, რადგანაც თვით მთავრობაც ასეთის შეხედულებისა არის თქვენზედ—რუსეთშიაც ასეა ყველასფერი.

სხვა სიტყვებს ჩვენ აქ აღარ მოვიყვანთ, აღვნუსხავთ მხოლოდ ჩვენი სიტყვით შემდეგ საზიზღარ საქმეს და ამბავს, რასაც პავლე ციციშვილი რუსეთის თავად-აზნაურების კვალად ქართველს თავად აზნაურებსაც ამას უქადაგებდა, ეს ქადაგების მიზანი იყო ბოროტის შხამის ჩანერგვა ქართველ თავად-აზნაურთა შორის და მით მათი მოსყიდვა ტახტისათვის გლეხების ხარჯზე.

ეს უბაბი სენი გახლავთ ის გარემოება, რომ იგი არის ჩვენი ნაცრის სამარცხვინო სენი, რომელიც სენი ციციშვილმა დანერგა ქართველებში და მით დაშხამა ქართველი თავად-აზნაურობაც, ეს ბოროტება გახლავთ ქართველ თავად-აზნაურობაში, რადგან თავად აზნაურების მესვეურად, რაც რუსეთში უკვე არსებობდა პეტრე დიდის დროიდან, მოყოლებული იქნება უფრო წინა დროსაც გლეხთა ქორწინების დროის „პირველი ღამის ამბავი“ ანუ იმ დროის რუსთა თავად-აზნაურების.

ამ სენმა დაშხამა ქართველი ერი, ამ ბოროტებამ მოიკიდა ფეხი მოიდგა ჩვენშიაც, ამ სენმა გადაკიდა თავადი და აზნაური გლეხს და გლეხები კი თავად-აზნაურობას, თუმცა იმასაც ვიტყვით, რომ ამ შხამის ბრძანებას ყველა თავადი და აზნაური არ ასვა, ზოგმა ეს საძაგლობა დიდ ცოდვათ მიიჩნია, დიდ რისხვათ, ზოგმა დიდ სასიხარულოდ. ზოგმა კი სიამოვნებით შეითვისა ეს ბოროტება და ამითი დაადგა მოქმედებას თავის ცხოვრებაში.

მე გადაწყვეტით ვამბობ, რომ საქართველოში, ქართველ თავად-აზნაურებმა და გლეხებმა, „პირველი ღამის ამბავი“ და მისი გადონებაც კი არ იცოდნენ, ეს „პირველი ღამე“ რუსული გახლავთ და მათგანვე შემოტანილი საქართველოში, რაც კი რამ ცნობები გახლავთ ამ საძაგლობის შესახებ ეს სულ რუსეთის იმპერიასთან დაკავშირების შემდეგ დროს ეხება. საქართველოში ამის ხსენება წინეთ ამბათაც არავის გაეგონა.

ამის მაგალითს ილია ჭავჭავაძის მოთხრობა „გლახის ნაამბობი“ ამბები, ანუ სიუჟეტი, თუ ფაბულა მომხდარა 1830 წლებში, აგრეთვე მომხდარა „კაკო ყაჩაღის ამბავი“ იმავე დროს დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხის“ ამბავიც მომხდარია 1840 წლებს, აგრეთვე სხვაც ასეთნი. ქართველ მეფეების დროს კი, ამისი მოქმედება და შესრულება კი არა, იგი ამბავიც არავის გაეგონია, ეს მოგვიტანეს რუსებმა და მათმა შხამიან გენ. ციციშვილმა და ამის მერე სხვებმაც, რომელნიც საქართველოს ერთი მტრობით აყვავებულნი იყვნენ.

ეს სენი და ბოროტება ხომ საქართველოშიც არ იყო, ამიტომ ბევრ ქართველებს, ნამეტურ გლეხკაცობას, რომელთაც გული ამაზე ულრინავთ, ამიტომ ამ საძაგლობაზე, მათ ვიტყვი შემდეგს ისტორიულ მცნებას, რასაც იმედია რომ ყველა ქართველი გულდასმით მიაქცევს თავის ყურადღებას და ამ ბოროტების შემოტანის მიზეზებსაც გაეცნობებით. ეს სენი რუსეთის მთავრობამ შემოიტანა საქართველოში.

ქართველი მეფეების დროს, ქართველი ერი და თვით ქართველი მეფეებიც „სახარების“ სწავლის ისეთი ფანატიკები იყვნენ და მათ „სახარების“ სწავლა ისე სწამდათ, რომ მათის ფიქრით, ქართველებში არამც თუ „პირველი ღამე“ აკრძალული იყო თვით კურთხების და ხასების გაჩენაც კი. თვით ქართველი მეფენი იტყოდნენ, რომ როგორ შეიძლება, რომ კაცმა დაუქორწინებელი ქალი სახლში იყოლიოსო.

ზ. ჭიჭინაძე.

(შემდეგი იქნება)

# მოწერილი ამბები

**ს. ეწერი.** არსად არ არის ისე ცუდად მიწის საკითხი მოგვარებული, როგორც ხამტრედიის რაიონში და კერძოთ კი ს. ეწერში. ანდა რა დროს მიწის საკითხზეა ლაპარაკი, როდესაც თითქმის ყველა მუშამ, ვისაც კი ებადა საკუთარი მიწა დაამუშავა კიდეც და მას თესლი მიაბარა: მაგრამ მაინც უნდა მივაქციოთ ჩვენი ყურადღება ერთს არა სასურველ მოვლენას, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენში. ზემოდ აღნიშნულ თემში მოხდა შეძლებისდაგვარად. მიწების დანაწილება მიწები დაურიგდათ მიწის არა მქონე გლეხებს, რომლებმაც მათზე მინიჭებული მიწები დაამუშავეს და შეუდგნენ დათესვას, რომ წარსანდელი მოუსავლობა და სიმშილი მოგონებათ დარჩენილიყო და შავი აჩრდილივით მომავალშიაც თავს არ დასდგომოდათ. ამ დროს ხედავენ, რომ მათ მიერ დამუშავებულ მიწებს ვიღაც სხვები ებლაუჭებიან და უპირებენ დაპატრონებას. მიწას რომელიმე გლეხზე მეორე პირი იმუშავებს, მისთვის გაბრაზებული გლეხი მიმართავს ახალ მეპატრონეს მიწისას თუ ვინ მის ა მას ნება ამა თუ იმ მიწის დამუშავებისა, რაზედაც პასუხად ღებულობს შემდეგს: „ეს მიწა ჩვენი თემის სამიწადმოქმედო კომისიამ მე მომცა, თქვენ კი თქვენს თემში შეიძინეთ მიწა და სხვ.

№ 13 **ახალგაზრდათა ხმა** № 13

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მორიგი ამოცანა.

საზაფხულო მუშაობისათვის მორიგ ამოცანას ახალგაზრდათა ორგანიზაციისათვის უნდა შეადგენდეს ახალგაზრდა გლეხთა შორის პოლიტიკური მუშაობის გაცხოველება. მთელი ჩვენი ყურადღება ეხლა სოფელს უნდა მიექცეს და სოფლის მყუდრო ცხოვრების ახალგაზრდებს უნდა მივაწოდოთ ჩვენი ხმა, ჩვენი ძახილი.

უმთავრესი ნაკლი ჩვენი ორგანიზაციისა მდგომარეობდა იმაში, რომ მის წევრებს შეადგენდნენ მხოლოდ მოსწავლე ახალგაზრდობა და სტუდენტობა. რა თქმა უნდა ეს მიუღებელი ფაქტი არ არის თავის თავად. მაგრამ არ შეიძლება ამით იქნეს შემოფარგლული ჩვენ მუშაობის საზღვრები. დღემდე ჩვენ ვერ შევძელით გლეხურ ახალგაზრდათა შორის მუშაობის ფართოდ დაყენება. ამას ხელს უშლიდა დაუძლეველი ობიექტიური დაბრკოლებანი. დღეს კი, როდესაც ქალაქიდან ნაწილდება სოფლად ჩვენი ახალგაზრდები, მათ თან უნდა მიჰქონდეთ გრძნობა მოვალეობისა, რომ ის ვალდებულია გლეხთა შორის აწარმოოს პოლიტიკური მუშაობა.

ვისაც სურს გამომხატველი იყოს საქართველოს სინამდვილის, იგი უნდა იცნობდეს ჩვენი გლეხის ლხინსა და ჭირს, მის ავსა და კარგს. ჩვენ, რომლებსაც ყველაზე მეტი უფლება გვაქვს საქართველოს სახელით ლაპარაკისა, უნდა დაუახლოვდეთ ქართველი გლეხის შვილს, უნდა გავიცნოთ მისი სულისკვეთება და უნდა მივაწოდოთ მას პოლიტიკური საზრდო.

აი, ეს უნდა იყოს მორიგი ამოცანა ეხლა ჩვენთვის, ამ ზაფხულის განმავლობაში უმთავრესად.

## ახალგაზრდათა ორგანიზაციის საკითხი. *)

4.

მაგრამ საინტერესოა ვიცოდეთ როგორ უყურებენ პოლ. მიმართულებანი ახალგაზრდათა მოძრაობას. მეორე ინტერნაციონალი ახალგაზრდათა მოძრაობას უარყოფითად უყურებდა. მას ახალგაზრდობა არ მიაჩნდა ისეთ ძალად, რომელსაც პოლიტიკურ ცხოვრებაში რაიმე როლის შესრულება შეეძლო და ამიტომ ის წინაამდეგი იყო ახალგაზრდათა ორგანიზაციების. მესამე ინტერნაციონალი წინააღმდეგ მეორე ინტერნაციონალისა, ახალგაზრდათა მოძრაობას დიდ მნიშვნელობას აძლევს და ამბობს, „მის (ე. ი. ახალგაზრდობის) პოლიტიკურ ბრძოლას აქვს უდიდესი რეალური მნიშვნელობა საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობისათვისო“.

ცნობილი მოღვაწე ფრიდრიხ ენგელსი ახალგაზრდათა შესახებ ამბობდა „ჯერ ახალგაზრდები ვართ. ვიბრძოლოთ თავისუფლებისათვის სანამ ახალგაზრდები ვართ და გვაქვს ძლიერი, მშფოთარე ძალა ვინ იცის ჩვენ გამოვდგებით ისევ ბრძოლისათვის მომავალში და სიბერე არ გაგვტეხს? **)

პეტრე კროპოტკინი, როდესაც ახალგაზრდობას მიმართავს, ასე ასრულებს თავის სიტყვას „ჩაგრულნო და დევნილნო, თქვენ ხართ მრისხანე ძალა—ოკეანე შემძლე ყოველივეს განადგურებისა. საკმაოა ჩვენ ვისურვოთ და ერთ წუთს დავიპყრობთ ბედნიერებას მთელი მსოფლიოსათვის“ ***).

ვ. ლენინი ამბობს: „სწორედ ახალგაზრდობას უდგას წინ ნამდვილი ამოცანა კომუნისტური საზოგადოების შექმნისა, ვინაიდან ცხადია, რომ იმ მუშაკების თაობას, რომელიც აღზრდილა კაპიტალისტურ საზოგადოებაში უკეთეს შემთხვევაში შეუძლია გადასწყვიტოს ამოცანა ძველი კაპიტალისტური წყობილების საფუძვლების მოსპობისა“. ****)

ლ. ტროცკი სწერს „ახალგაზრდათა ორგანიზაცია ჩვენი რეზერვია. სუსტი რეზერვით საუკეთესო არმიაც მარცხდება, ხოლო წინააღმდეგ სრულებით სუსტი არმია ძლიერი რეზერვებით გამარჯვებას დღესასწაულობს.*****)

გ. ზინოვიევი გვეუბნება: „ახალგაზრდობა მთელი ჩვენი მომავალია, ჩვენი იმედია.******)

არჩილი ერსა და სოციალიზმს უსახავს მიზნად ახალგაზრდობას.

ამ რიგად, თუ ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდობას პოლიტიკური ბრძოლის პროცესში, ცხადია, რომ ჩვენც დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ ახალგაზრდათა ორგანიზაციების დაარსებას, ახალგაზრდათა კავშირების აღმოცენებას.

ამიტომ საჭიროა სქემატიურად მაინც, შევეხოთ ახალგაზრდათა მოძრაობას ჩვენში. საქართველოს ახალგაზრდათა მოძრაობას ორი პერიოდი აქვს. პირველია ახალგაზრდათა ბრძოლა გარეშე ჩვენი ქვეყნისა, განსაკუთრებით რუსეთში, ხოლო მეორეა ახალგაზრდათა მოძრაობა რევოლიუციის შემდეგ საქართველოში.*)

როდესაც ჩვენში ახალგაზრდათა მოძრაობაზე ვლაპარაკობთ, მასში ვგულისხმობთ, მხოლოდ მოსწავლე ახალგაზრდობას, მოწაფეებისა და სტუდენტების სახით. ჩვენი ქვეყნის ეკონომიური პირობები, სადაც ჯერაც არ ამოძრავებულა კაპიტალისტური წარმოების გიგანტიური მსვლელობა, არ იძლეოდა საშვალებას ახალგაზრდა მუშები პოლიტიკურ ორგანიზაციებში დარაზმულიყვნენ და რაიმე მნიშვნელოვანი როლი შეესრულებიათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

მოსწავლე ახალგაზრდობის ხასიათს ერთი მხრივ და ეროვნულ მონობას მეორე მხრივ, თავისებური მიმართულება უნდა მიეცა ახალგაზრდათა მოძრაობისათვის საქართველოში და ასედაც მოხდა.

ჩვენი ახალგაზრდათა მოძრაობა ამ მხრივ რამდენიმეთ ჩეხიის ახალგაზრდათა მოძრაობას წააგავს, სადაც ეროვნული მომენტი დიდსა და მნიშვნელოვან როლს ასრულებდა.

ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა ცხადია ვერ განიცდიდა ეკონომიური ჩაგვრის სიმწვავეს, რადგან არ იყო ჩაბმული შრომის ფერხულში, ხოლო ეროვნული ჩაგვრა, ეროვნული მონობა, ყველაზედ უფრო ახლოს იყო ჩვენ ახალგაზრდობასთან და სკოლის კედლებში შეხუთული ატმოსფერა საუკეთესო ილიუსტრაცია და უსაზიზღრესი ფორმა იყო ეროვნული მონობისა. ცხადია, ახალგაზრდობის მოძრაობაც ეროვნულ მომენტს მიაქცევდა უმთავრეს ყურადღებას და მათი მხედველობის ცენტრალი წერტილი იქნებოდა ეროვნული თავისუფლება. ამიტომაც იყო, რომ სოც.-დემოკრატებს ეგ. წოდ. „ერთად ერთ“ მუშათა პარტიას ყველაზე მცირე რაზმი ჰყავდა ახალგაზრდობაში, რადგან იგი კოსმოპოლიტური კონცეპციებით გამოდიოდა მაშინ, როდესაც ახალგაზრდათა ბრძოლის ობიექტი ნაციონალური თავისუფლება იყო.

ნაციონალური საკითხის ირგვლივ ხდებოდა ახალგაზრდათა ძალების დიფერენციაცია და ეს იყო უმთავრესი მიზეზი, რომ ქარ. ახალგაზრდობის უმრავლესობა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის დროშის ქვეშ დაირაზმა, რადგან აქ მან დაინახა ნაციონალური საკითხის რადიკალურად დასმა და საქართველოს რეალურ პირობებთან მისი სათანადოდ გადაწყვეტა. ამიტომ იყო ისიც, რომ ჩვენ ქვეყანაში ახალგაზრდობა ეროვნულ-დემოკრატებსაც კი გაჰყვა.

მაგრამ როგორია ახალგაზრდათა მოძრაობის პერსპექტივები საქართველოში?

როგორ მიმართულებას მიიღებს ახალგაზრდათა მოძრაობა ჩვენში?

ჩვენ ვიცით, რომ მენშევიკები ყოველთვის სუსტნი იყვნენ ახალგაზრდობაში. როგორც აღვნიშნეთ ეს მენშევიკური კოსმოპოლიტიზმის შედეგი იყო. მომავალშიაც ახალგაზრდობა არ გაჰყვება მას, რადგან მენშევიზმი გაკოტრდა როგორც იდეურად, ისე პრაქტიკულადაც. ორტოდოქსალი მარქსიზმი არასოდეს არ ყოფილა ქართ. ახალგაზრდობის იდეოლოგია და იგი ვერც ვერასოდეს გახდება ჩვენი ახალგაზრდობის ნავთსაყუდელი.

ეროვნულ-დემოკრატიული ახალგაზრდობა აღმოცენებულია მხოლოდ ეროვნული საკითხის გამო და მის სათანადო გადაჭრასთან ერთად მოხდება ასეთი ორგანიზაციების თანდათანის დაშლა, რადგან ახალგაზრდობის მებრძოლი ენერგიისათვის ერ. დემოკრატიულ პარტიას არ ექნება თვალწარმტაცი ბრძოლის ობიექტი და მთელი თავისი სიმახინჯით გამოაშკარავდება ბურჟუაზიული ტენდენცია, რომელიც ყოველ ნიადაგს გამოაცლის, მდგომარეობით სოციალისტურ ქართველ ახალგაზრდობაში.

ბოლშევიკებსაც არ გაჰყვება ქართველი ახალგაზრდობის უმრავლესობა. მიზეზი იგივეა—საერთაშორისო მხედველობით განხილვა საქართველოს საკითხის. საქართველოს თვით მიზნების არ მიღება. ეროვნულად განწყობილი ქართ. ახალგაზრდობა ვერ შეურიგდება საქართველოს ერთერთ სტრატეგიათ დასახვას, მის არა თვით მიზნობას.

მაგრამ დღეს უფრო ძლიერია ახალგაზრდობაში მემარჯვენე სოც.-ფედერალისტები. ეს სიმძლავრე უმთავრესად რევოლიუციის პირველი პერიოდის ნაშთია, როდესაც ქართველი ახალგაზრდობა სოც.-ფედერალიზმში ჰპოულობდა საუკეთესო სიმბიოზას ეროვნულ-სოციალისტურ მიმართულებათა. მაგრამ დროთა ვითარებაში ახალგაზრდობა განიცდიდა სასოწარკვეთილებას პარტიის პრაქტიკული პოლიტიკით და იგი თავის კონფერენციებზე ყოველთვის პარტიის ცოცხალ, რევოლიუციურ ელემენტს წარმოადგენდა და ილაშქრებდა ოფიციალური პარტიის პოლიტიკის წინაამდეგ. ახალგაზრდათა უმრავლესობა, პარტიაში არსებული მემარცხენე ფრთის გვერდში იყო და იგი სადად იცავდა სოციალისტ-ფედერალიზმის ძირეულ პრინციპებს, რომელიც აქტუალურ ბრძოლისაკენ მოუწოდებდა პარტიას და არა დემოკრატიული ტენდენციებით დაკმაყოფილებისაკენ.

მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ ვხედავთ, რომ მემარჯვენეებთან არიან ჩვენი ახალგაზრდობის ნაწილი, რომელნიც წინეთ პარტიაში მემარცხენეთა ფრთას ეკუთვნოდენ. ეს ადვილი ასახსნელია, თუ გავითვალისწინებთ მომენტს ჩვენი დამოუკიდებელი არსებობისას ერთი მხრივ და იმ ობიექტიურ პირობებს მეორე მხრივ, რომელიც შექმნილია ჩვენში ახალი პოლიტიკური კონიუნქტურის გამო. მაგრამ ერთი თავის თავად აშკარაა. ახალგაზრდობა ისევ ჩვენთან არის. მოსწავლეების დიდი უმრავლესობა ისევ ჩვენ გვერდშია და პროცესი თანდათანი ჩვენი განვითარებისა ხელსადებია.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ქართველი ახალგაზრდობის პოლიტიკური პლატფორმა, ვისი სოციალ-ეკონომიური იდეოლოგია ჩვენი იდეოლოგიაა. ჩვენ ეს გვწამს არა იმიტომ, რომ ჩვენ ეს გვსურს, არამედ მას გვეუბნება ახალგაზრდათა მოძრაობის უმთავრესი თვისებანი, რომელნიც სოციალისტურ და რევოლიუციურ შემოქმედებაში იხატება და ამასვე გვიკარნახებს საქართველოს რეალური პირობები, ჩვენი ახალგაზრდობის ნაციონალური მხედველობა, რომელიც ბუნებრივად ნაციონალურ იდეოლოგიასთან დაკავშირებას თხოულობს. ამიტომ ჩვენი ცხოვრების ფაქტორები ერთი მხრივ და ჩვენი ახალგაზრდობის პოზიცია მეორე მხრივ, საუკეთესო თავმდებია, რომ იგი ჩვენთან იქნება, ჩვენთან იბრძოლებს.

სოციალიზმ-ფედერალიზმი დღესაც და მომავალშიაც ის მოძღვრება იქნება, რომელიც ათანხმებს ნაციონალურ და სოციალისტურ პრინციპებს და იქ იქნება ქარ. ახალგაზრდობას ადგილი, სადაც ის ჰპოვებს ამ პრინციპებისათვის ურყევ ბრძოლას.

ხერ. ამალობელი.

(შემდეგი იქნება).

*) „ახალ. ხმის“ № 12-ში ამ წერილის დასაწყისი შეცდომით დაიბეჭდა. ამიტომ დასაწყისი ისევ იბეჭდება.

**) ჟურნალი „Интернационал молодежи“ № 6—7 გვ. 102.

***) П. Кропоткин „Рѣчи бунтовщика“. გვ. 40.

****) ვ. ლენინი „ახალგაზრდათა კავშირების ამოცანები“. გვ. 3.

*****) ჟურნალი „Интер. мол.“ № 4—5. 10 გვ.

******) Ibid 8 გვ.

*) ცხადია საქართველოშიაც ახალგაზრდათა დამოუკიდებელი მოძრაობა არ ყოფილა. ამიტომ საჭიროა თვალი გადავავლოთ მათ როლს პოლიტ. პარტიებში.

## ბეთანიას მონასტერი.

უპირველეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ ქართველებში დღეს დღეობით ვერ ვპოულობთ, იმ აღფრთოვანებას და მისწრაფებას ქართულ ხელოვნებისადმი, რომელიც ასე ახასიათებდა ქართველ სულიერ მისწრაფებას.

ნუ თუ ქართველ ხალხს არ უნდა აინტერესებდეს ყველა ის განძი, ყველა ის მშვენიერი ხელოვნური ასახება, რომელიც შეუქმნია ოდესღაც მის წინაპართ?

ქართველის გული არ უნდა ატოკდეს, როდესაც მის თვალწინ მთელი საუკუნოებათა განმავლობაში (თუმცა დიდათ დაზიანებული), მაგრამ ჯერ კიდევ შენახული ქართული მხატვრობა?

ქართველი ერი ბევრს რასმეს დაკარგავს თუ დარაჯათ არ დაუდგება და ერთგვარ მზრუნველობას არ გამოიჩენს, რომ ისედაც დაზიანებულ განძს ხელიდან გაუშვებს, არ შეინახავს, არ დაუტოვებს ხელოვნების აჩრდილსაც მომავალ თაობას.

ვინ იცის რამდენი ძვირფასი უკვდავი განძია საქართველოს კუთხეებში, უმთავრესად ძველ ქართულ მონასტერეკლესიებში მე-8—10—13—15 საუკ., რომლებსაც დღეს კიდევ შეუნარჩუნებია სახე ძველი კულტურის ხელოვნებია დარგში. ერთი ასეთი მონასტერთაგანია ბეთანიის მონასტერი.

ყოველმა, ვისაც აინტერესებს ჩვენი ეროვნული კულტურის წარსული, უნდა ნახოს თავის თვალით თუ რა მდიდარი ისტორიულ-ხელოვნური მასალაა შენახული ბეთანიას მონასტერში.

ბეთანიას მონასტერში შეიძლება ითქვას, რომ თავი მოუყარა მთელი საშუალო საუკუნოების მშვენიერ-მოქნილ გამოკვეთილ მხატვრობას.

ბეთანიას მონასტერი მიმზიდველია თავის გარეგნული ასხმულობით და იმ ადგილით, სადაც ის აშენებულია.

სცილდებით ქ. ტფილისს—ივლით დრეს, ტყეს, მინდვრებს, მდინარეებს 25 ვერსის მანძილზე: ბოლოს აღწევთ ბეთანიას.

თქვენ თვალ-წინ იშლება მომხიბლავი სურათი; ირგვლივ მიუვალი მთებით, ღრეებით, იქვე ჩამორბის პატარა ანკარა წყარო.

მთებ-შუა გულში კი მედიდურად აღმართულა ბეთანიას მონასტერი. თითქოს განგებ ადამიანის ხელის ნაცვლად მას დარაჯობს მთების მშვენიერი პეიზაჟი.

ბეთანიის მონასტრის ისტორიას ჩვენ არ შევეხებით აქ, ვინაიდან მცოდნე პირნი ისტორიისა უფრო ნათლად გადმოგვცემენ და დაგვისურათებენ მას.

აღსანიშნავია მხოლოდ, რომ ბეთანია უნდა იყოს აშენებული 11—14 საუკუნეებში.

შესაძლებელია კი, რომ იგი იყოს 12 საუკუნის ნაშენი, როდესაც ჩვენი კულტურული ცხოვრება მაღალ საფეხურზე იდგა, რაიც ნათლად სჩანს მონასტრის მხატვრულად მკაფიოდ და სხარტად დასურათხატებაში განცვიფრებაში. მოყვხართ სურათებს ცოცხლად კედლებზე დაწერილს, გეგონებათ თქვენ თვალწინ სდგას ძვირფასი ქანდაკება.

მარჯვნივ გარკვევით წაკითხვა შეიძლება „სუმბატ“... შემდეგ დამახინჯებულია. ეს პიროვნება უნდა იყოს ამ მონასტერის დამაარსებელი ბერძნულად „ქტიტორ“. რაიც ნიშნავს (დამაარსებელს), მარცხნივ შუაში თამარ მეფის და გიორგი ლაშას სურათია, ორი მცვეღით. ჩვენი ყურადღება იქმნა მიქცეული იოანე ნათლის მცემლის სურათით ტახტზედ ზის იროდი მეფე, მის გარშემო მთელი მისი ოჯახი მხიარულობა და ცეკვაა, ბოლოს იოანეს მოკვეთილი თავის მირთმევა. მთელი პროცესიის შესრულებით.

ვინ იცის, რამდენი საინტერესო სურათი ინახება ამ კედლებზე, მაგრამ უხეშ ხელს არ დაუზოგავს ის და კირით შეულებია და ამით სამუდამოდ დაუწყავს სურათები, მაგრამ მაინც ბევრიც მოსჩანს თუმცა ძლიერ ბუნდოვანი (მაგ. ზევით მოყვანილია სურათი). ალბათ ძლიერ საინტერესო იყო „საკურთხეველში“ შესვლა და სურათების დათვალიერება, მაგრამ მოგვეხსენებათ, რომ ქალისათვის ეს აკრძალულია...

საერთოდ მეტად დიდი მნიშვნელოვანია ბეთანიის მონასტრის აღწერა და მის ძეგლების და მხატვრობის გამოკვლევა.

ჯერ ხნობით, ამ მონასტრის შესახებ დაწვრილებით ცნობები ჩვენს ისტორიას არ მოეპოვება. ალბად ჩვენ უნივერსიტეტის საისტორიო დარგის ხელმძღვანელნი ყურადღებას მიაქცევენ ბეთანიის მონასტრის შესწავლის საქმეს.

ნინო ხოშტარია.

## იაკობ გოგებაშვილი.

(გარდაცვალებიდან 10 წ. თავზე)

ამ თვის 25 შესრულდება ათი წელი ქართველი პედაგოგის და მოზარდი თაობის საუკეთესო ხელმძღვანელის იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალებიდან. ამ პატარა წერილს, ცხადია, არ ექნება მიზნათ მისი მოღვაწეობის გარკვევა, ვინაიდან ეს დიდი ტანიანი ტომების საქმეა. მაგრამ ჩვენ გვინდა მოვაგონოთ ჩვენ ახალგაზრდობას მისი სულიერი მამის და ფაქიზური სულისკვეთების ხელმძღვანელის იაკობ გოგებაშვილის შესახებ. ეს ბუმბერაზი პიროვნება მთელი თავისი ცხოვრების სიგრძეზე, დაუშრეტელი ენერგიით და უბადლო ნების სიტკიცის გამოჩენით ემსახურებოდა ერთის მხრივ საბავშო ლიტერატურის შექმნის და გამდიდრების საქმეს, და მეორეს მხრივ იგი საუკეთესო დარაჯად უდგა ქართული მწერლობის და ქართული პედაგოგიური ლიტერატურის განვითარებას.

წარსული საუკუნის მე-70 წლებიდან გამოდის იაკობი სამოღვაწეო არენაზე და იმ თავითვე იმსახურებს საუკეთესო პრაქტიკოსი პედაგოგის და მეთოდიკის ჩინებულად მცოდნის სახელს. სწავლების ამერიკული მეთოდი სილაბიური თუ საპარცვლო მეთოდები მისთვის მიუღებელი იყო, მან მეთოდებს დაუპირდაპირა თავის ანალიტიურ-სინთეტიური ძგერით, მეთოდი და უკანასკნელ დრომდე იგია გაბატონებული ჩვენს სასკოლო ცხოვრებაში და ეხლაც ცნობილს როგორც ერთად-ერთ ბუნებრივ მეთოდათ ქართული წერა-კითხვის სწავლების დროს.

შეუდარებელია ი. გოგებაშვილი როგორც ლიტერატორ-კრიტიკოსი. მან თავის ოთხ ტომიან სამეცნიერო წიგნები შესაფერისად და მიუდგომლად დააფასა ზოგიერთი ჩვენი ლიტერატურის კორიფეები და დასწერა მრავალი წერილები სხვა და სხვა თემებზე.

გ. თ—ლი.

## გონს მოვიდეთ

1921 წლის 25 თებერვალი ქართველი ახალგაზრდობის ერთი ნაწილისათვის საბედისწერო დღე გამოდგა. ახალგაზრდობა ინერციით გაჰყვა პოლიტიკურ პარტიებს და მის მიერ დასმულ დიაგნოზით განიხილა შექმნილი მდგომარეობა. ამის შედეგი იყო ის გარემოება, რომ ახალგაზრდობა დაშორდა მოვლენების სწორად გაგებას და ჰორებისა და ინსინუაციების ჰაობში გაეხვია.

ახალგაზრდური ფიცხი ტემპერამენტი ყველაზედ მეტად განიცდიდა შექმნილ მდგომარეობის უარყოფით მხარეებს და ეს კი მასზე მოქმედებდა მეტად გამაღიზიანებლად. ამით აიხსნება ის მოუსვენრობა, რომელსაც იჩენდა ახალგაზრდობის ხსენებული ნაწილი დღიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა.

დღეს, როდესაც საკმაო დრომ განვლო, როდესაც შესაძლებელია ობიექტიურად შეფასებულ იქნეს მათი მოქმედების შედეგები და საერთოდ გარკვეულ იქნეს პოლიტიკური მოვლენანი, რომელნიც მკაფიოდ დაისახა წინაამდეგ მემარჯვენე ახალგაზრდათა მოლოდინისა, სწორედ დღეს მემარჯვენე ახალგაზრდობის ამოცანას უნდა შეადგენდეს რევიზია ნამოქმედართა და გადასინჯვა თავისი პოზიციისა.

შეუძლებელია იმის თქმა, რომ მემარჯვენე ახალგაზრდობა აშკარა კონტრ-რევოლიუციონერი ახალგაზრდობა იყოს. პოლიტიკური პარტიები ცდილობენ, რომ გამოიყენონ ახალგაზრდათა უკმაყოფილება, ნაწილი ახალგაზრდობისა უკვე წარმოადგენს კონტრ-რევოლიუციონურ ელემენტს, მაგრამ მასა უმთავრესად გაურკვეველია, მდგომარეობის ზეგავლენის ქვეშ არის მოქცეული.

ამიტომ საჭიროა, რომ კრიტიკულად მოაზროვნე ახალგაზრდობამ მოახდინოს გადასინჯვა თავისი პოლიტიკური კრედოსი. სწორად შეაფასოს შექმნილი მდგომარეობა და კვლავ დაუბრუნდეს მუშაობას ქართველი ხალხის კეთილდღეობისათვის.

ხ. ქ.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი

ტირაჟი 700 საქართვ. უმაღ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. № 2 სტამბა. კრუზენშტერნის ქუჩა, 4. ნ. ფ. ს. ც.